645
1974

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ევგენია გალუსტოვა

„საქართველოს სსრ. ქ. თბილისი
ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" მუშას
**ამხ. ე. გ. გალუსტოვას**

პატივცემულო ევგენია გრიგოლის ასულო!

იმ დეპეშასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე ჩემი გამოსვლის გამო, მინდა მადლობა გიძღვნათ კეთილი და გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებითაც იხსენიებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, და დიდად აფასებთ იმას, რომ პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ხაზს. ჩვენი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც მტკიცედ ივლის წინ ამ ლენინური კურსით.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, თქვენს ოჯახსა და თანამოსაქმეებს,

პატივისცემით
**ლ. ბრეჟნევი.**

1974 წლის 22 ივლისი",

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათასგზის სახელოვანი იყავ, მშრომელო ადამიანო!

საამქროებში ერთბაშად დაისადგურა დიდმა სიხარულმა.

მთელი ფაბრიკა ახლა ამაზე ლაპარაკობდა.

— გაიგე?

— ევგენიას სახელზე მოსკოვიდან სამადლობელი, გულთბილი ბარათი მოვიდა.

— ადამიანი შრომით ფასდება, შრომით! — თქვა ხარატმა ლეონიდ ლობანოვმა, მერე შეკრებილთა შორის მარია დემედენკო მოძებნა:

— ასე არ არის, მარია!

მარიას გაეღიმა. ასეაო, — ჩაილაპარაკა.

არ იქნა და შრომით მეტოქეს ვერ გაუსწრო მარიამ. არა, კი არ სწყინს ევგენია გალუსტოვას წარმატება, მიმდინარე წლის ექვსი თვის შედეგებით რომ გაასწრო მას. პირიქით, მუშაობაში სტიმულს აძლევს, ახალი მიჯნების ასაღებად უბიძგებს. ევგენიას ამ „გასწრებამ“ ბევრი რამე ასწავლა მეტოქეს, პირველ რიგში კი — წუთის ყადრი.

— გავუფრთხილდეთ თითოეულ სამუშაო წუთს! — ასეთი წინადადება წამოაყენა ევგენიამ ამ რამდენიმე ხნის წინ და ეს წინადადება მალე საწარმოო თაოსნობად იქცა.

...ლეონიდ ლობანოვი, საამქროს უფროსი ნოდარ მაჩიტაძე, ფეხსაცმლის ლანჩის მიმმაგრებელი იულია ბუშკინა, ოსტატი გურამ აბრამიძე ევგენიასთან წავიდნენ — ყველამ ერთად მივულოცოთ ეს სასიხარულო ამბავიო.

ყოველთვის თავის დაზგასთან მოფუსფუსე ევგენია, მეგობრებმა საამქროში ვერ იპოვეს.

პარტბიუროს მდივანთან ასულიყო.

ერთიანად სიხარულად ქცეული ქალი, უკვე მერამდენედ კითხულობდა მოსკოვიდან მიღებულ ბარათს.

— რაოდენ დიდი ზრუნვაა უბრალო ადამიანების მიმართ, რაოდენ დიდი გულისხმიერება, — ეუბნებოდა ევგენია პარტბიუროს მდივანს. — რით ვუპასუხო ამ გულისხმიერებას?

— შრომით, მხოლოდ პატიოსანი შრომით, ჩემო ევგენია, — უთხრა პარტბიუროს მდივანმა ჯემალ ქუქუნაშვილმა.

— ჩემი გადაწყვეტილებაც ეგაა სწორედ!

...ყველაფერი კი სულ უბრალოდ დაიწყო. როცა ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე გამოვიდა, ტელევიზორს არ მოშორებია ევგენია. მეორე დღეს კი გაზეთში გულდასმით წაიკითხა გამოსვლა.

„სამადლობელი ბარათი უნდა გავუგზავნო ამხანაგ ბრეჟნევს. გავუზიარო ჩემი გულისთქმაო“. — გადაწყვიტა ევგენიამ და მუშის ნაჯაფი ხელით შემდეგი დაწერა:

**„ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!**

**მე, ძველი მუშა, პარტიის ვეტერანი, სამი შვილის დედა, უდიდესი ყურადღებით ვადევნებდი თვალს თქვენს შეხვედრას ამომრჩევლებთან.**

**წვლილი, რომელიც თქვენ შეგაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მშვიდობის საქმეში, ფასდაუდებელია. თქვენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი ბრძანდებით. ჩვენ, დედები, ღრმად ვგრძნობთ, თუ როგორ ზრუნავენ პარტია, საბჭოთა მთავრობა ქვეყნის მშრომელებზე. დღითიდღე უმჯობესდება ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, შენდება სკოლები, საბავშვო ბაღები, უმჯობესდება სამედიცინო მომსახურება. ჩვენი ბავშვები უღრუბლო ცის ქვეშ იზრდებიან, ჩვენი ბავშვები ბედნიერი არიან. მადლობა თქვენდა, ლეონიდ ილიას-ძევ, დედების, ბავშვების ბედნიერებისათვის, მთელი ჩვენი მრავალეროვანი ხალხის ბედნიერებისათვის. ჩვენ, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშაკები, მხარს ვუჭერთ სკკპ ცენტრალური კომიტეტს, მისი პოლიტბიუროს, პირადად თქვენს, ლეონიდ ილიას-ძევ, აქტიურ მიზანდასახულ საქმიანობას, რომელსაც ეწევით კომუნიზმის წარმატებული მშენებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის. ფაბრიკის კოლექტივმა არჩევნების დღისათვის შეასრულა ნახევარი წლის გეგმა და ერთსულოვნად აძლევს ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ კომუნისტური პარტიისადმი ერთგულებას მისი ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის სრული მხარდაჭერით“.**

დაწერა და ხელიც მოაწერა.

იქნებ პასუხს არც ელოდა ევგენია. მან უბრალოდ, თავისი გულისთქმა მილიონთა გულისთქმას შეუერთა.

...ოცდაოთხი წლის წინ მოვიდა ფაბრიკაში სამუშაოდ ევგენია გალუსტოვა, მანამდე საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის მკვიდრი იყო. კოლმეურნეობაში მერგოლეურად მუშაობდა, შინმოუსვლელის, ქერჩში გმირულად დაღუპულის ქვრივი სასახელო შრომით ზრდიდა სამ შვილს.

შრომაში დაუზარელი, დედობის მანდილის სიწმინდის შემნახველი, სოფლის ამაგდარი პარტიაში მიიღეს იმ დროს, როცა ქვეყანა ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. 1949 წელს კი, როგორც ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატს, მკერდზე ლენინის ორდენი მიაბნიეს...

...საამქროში გამართულ სახელდახელო მიტინგზე ერთმანეთს ცვლიდნენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულთბილი პასუხი უკვე მთელი ფაბრიკის კუთვნილებად გახდა. ამ წერილმა ისინი ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღანთო, უფრო მჭიდროდ დარაზმა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ბედნიერებით გაცისკროვნებული იდგა ევგენია გალუსტოვა თანამოსაქმეთა შორის. მისი გულის სითბო მთელ კოლექტივს სწვდებოდა და კოლექტივის სითბო აცისკროვნებდა მის სახეს.

ათასგზის სახელოვანი იყავ, მშრომელო ადამიანო!

**მაყვალა ინასარიძე**



2.2403
... მარქსის სახ. საქ. ს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოწინავე მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე ახუბა.

# სოფელს ეამაყება

როცა საერთო კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე ლოგუამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილება და პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა გააცნო კოლმეურნეებს, არავის დაუყენებია სიტყვების კორიანტელი, არც არავის უთქვამს, გინდა თუ არა, მარშანდელზე ამდენით მეტ კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჩავაბარებთ სახელმწიფოსო. ყველა მშრომელმა გულში გადაწყვიტა საქმით დაემტკიცებინა თავისი შესაძლებლობა.

ამ გადაწყვეტილებით გამოვიდა კრებიდან ელენე ახუბაც და სიმშვიდით დაეშვა შინისაკენ. შინ მას ლოგინს მიჯაჭვული დედამთილი და სამი შვილი ელოდება. ქალმა ამაღამ უნდა მოითავოს ხვალინდელი დღის საოჯახო საქმე. დილით კი მამლის ყივილს დაასწრებს და ჩაის პლანტაციაში გაჩნდება. საოცრად მოძალდა ლორთქოში დუყები, თუ დროზე არ მოუსწრო, გაუხეშდება. ამას კი ელენე არაფრით არ დაუშვებს. შარშან იგი დღეში 200 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა, წელს ყოველდღიურად 250 კილოგრამ ფოთოლს კრეფს, მაგრამ ეს დღეისათვის განა საკმარისია? არა, თავს იქნევს ელენე და ფრთხილად შეაღებს ჭიშკარს. ეზოში ახლადშეძენილ ალისფერ „ჟიგულს" შემოხვეული ჭაბუკი უტრიალებს. სიხარულით ალტაცებული შვილის დანახვაზე სითბო და სიამაყის გრძნობა ჩაეღვრება დედას გულში. ეს მანქანა და ორსართულიანი შენობაც, მთვარის შუქზე ასე თეთრად რომ პრიალებს, მისი ალალი შრომის მონაგარია.

თვრამეტი წლის იყო ელენე, როცა მორცხვად შემოაბიჯა ამ ეზოში. ყავრით გადახურული ორი თვალი ფიცრის სახლი დახვდა და მკვირცხლი, ენერგიით სავსე მეუღლე — შალიკო ახუბა.

მაშინ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში ქუხდა მოწინავე მეჩაის, უმაღ[illegible]ესი საბჭოს დეპუტატის უშა ახუბას ს[illegible]ელი. პა-

ტარძალი გვერდიდან არ სცილდებოდა უშას. მის გამოცდილებებს სწავლობდა. უშას ტრადიციებზე გაიზარდა ელენე და სულ მალე თითითსაჩვენებელი ქალი გახდა.

ოცი წელია ელენე მეოთხე ბრიგადაში მუშაობს და ყოველ ახალ წელს ახალი წარმატებებით ეგებება, ამიტომაც გახდა ხალხის რჩეული.

1971 წელს ელენე ახუბა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

1973 წელს გეგმით გათვალისწინებული 4.500 კილოგრამის ნაცვლად 11.265 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს და მკერდი შრომის წითელი დროშის ორდენითა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის საპატიო ნიშნით დაიმშვენა.

1974 წელს კი სასახელო ქალი მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

სოფელი ამაყობს ელენეთი. ელენეს კი თანასოფლელები ეამაყება. მიმდინარე წელი ხომ მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წელია და 263 ჰექტარზე გადაჭიმულ პლანტაციაში 1500 მშრომელის მარჯვენა ტრიალებს. ისინი არ სჯერდებიან მიღწეულს, დაუცხრომლად იბრძვიან მეტისათვის, უკეთესისათვის. ჭლოუელებმა წელს გეგმით 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ, სინამდვილეში კი 1.632 ტონა ჩაის ფოთოლს ჩააბარებენ სახელმწიფოს.

ყველა ბრიგადაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. მეოთხე ბრიგადას პირველი ბრიგადა ყავს შეჯიბრებაში გამოწვეული. ელენე ახუბა პირველი ბრიგადის მოწინავე მეჩაიეს რაისა ჭოლოკუას ეჯიბრება. რაისა 9.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს გვპირდება, ელენეს კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წელს 5 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 11.500 კილოგრამი მოკრიფოს. მარტო მაისის თვეში მან 3.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი დაახვავა.

ბევრია სოფელში ელენე ახუბას მიმდევარი. სკოლის მერხიდან მოვიდნენ აქ ვიოლეტა ადლეიბა, ლუსია ინაფშბა და სხვები, მათ პირველ ბრიგადაში კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი ჩამოაყალიბეს, სადაც ოცდათორმეტი ახალგაზრდა გაერთიანდა. ქალიშვილებმა ცალკე მოიზომეს 7 ჰექტარი ნაკვეთი, შესანიშნავად მოუარეს პლანტაციას და ჩაიც ზღვასავით წამოვიდა. გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებიან საუკეთესო შრომითი მაჩვენებლებისათვის. ისინი დღეში 40-50 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ.

ჭეშმარიტად თავდადებულმა შრომამ კოლმეურნეობა მილიონერი გახადა. გაძლიერდა და ფეხზე დადგა სოფლის მშრომელები. ბევრია ისეთი ოჯახი, რომლის თვიური შემოსავალი ჩაის კრეფის სეზონზე 350-400 მანეთს აღწევს. სად ნახავთ ახლა ისლით გადახურულ ჩაბნელებულ ქოხებს! მიჯრით დგანან ელექტრონის შუქით გაჩახჩახებული ორსართულიანი ქვიტკირის სახლები. აშენდა სამოცი ბავშვის ტევადობის საბავშვო ბაგა-ბაღი, შენდება კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს შენობა, კულტურის სახლი, კინოდარბაზი, ფეხბურთის მოედანი, იპოდრომი, სკოლა-ინტერნატი, ტურისტული ბაზა, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, სასადილო, სამკერვალო, საპარიკმახერო, ქალთა სალონი და საავადმყოფო. ჭლოუელებს აქვთ მოძრავი ბიბლიოთეკა, მხატვრული კითხვის კლუბი. სოფელს ჰყავს ინსტრუმენტული ანსამბლი დავით ცვიჟბას ხელმძღვანელობით. დავითი ხშირად გადის ბრიგადებში და შრომით მოღლილ ადამიანებს მუსიკით ართობს.

— ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი გაკეთდა და კეთდება მშრომელთა საკეთილდღეოდ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი, — ამბობს ელენე ახუბა. — არა გვაქვს საველე სასადილო, რომელიც საგრძნობლად შეამსუბუქებდა ჩვენს შრომას. საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა და დროსაც მოვიგებდით, ბრიგადებს შორის ასფალტირებული გზები რომ მოწყობილიყო. მეშვიდე და მეცამეტე ბრიგადის ქალებს უგზოობის გამო ჩაის ფოთლით სავსე ტომრები ზურგით გამოაქვთ ორი კილომეტრის მანძილზე. აუცილებელია ბრიგადებში ჩაის ფოთლის საწონი პუნქტები იყოს რკინა-ბეტონისა, თაკარა მზეში შრომით მოღლილმა ქალმა ცოტახანს მაინც რომ ჩაიმუხლოს სიგრილეში. ამასთან, რაც მთავარია, რკინა-ბეტონის შენობა ყველაზე კარგად ინარჩუნებს სიგრილეს. სიგრილე კი ჩაის ნაზი დუყისათვისაც აუცილებელია.

ყველაზე დიდი გასაჭირი კი მაინც ჩაის კრეფის სეზონზე აქვთ ჭლოუელ კოლმეურნე ქალებს. სიცხეში თუ სიცივეში, წვიმაში თუ ქარში დილიდან საღამომდე ოფლში გახვითქული ქალები დგანან ჩაის პლანტაციებში და კალათს კალათზე ავსებენ ფოთლით. უხარიათ, რომ გუშინდელზე მეტი დღეს მოკრიფეს, მაგრამ დარდი არ სცილდებათ, ვინ იცის რა დღე ეწევა მათ ნაოფლარს? ოჩამჩირის რაიონის ჩაის ფაბრიკები ვერ ასწრებენ მოზღვავებული ნედლეულის დროულად გადამუშავებას. მოქვის ჩაის ფაბრიკა შვიდ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ემსახურება. მთელი ძალების მობილიზაციით მას მხოლოდ 60-70 ტონა ნედლეულის გადამუშავება შეუძლია. ფაბრიკა კი დღეში 120-130 ტონა ჩაის ფოთოლს იბარებს. ამიტომ ჩაის ფოთლით დატვირთული მანქანები იგზავნება ცხაკაიაში, მახარაძეში, ჩოხატაურში, წალენჯიხაში. გზას და სიცხეს ვერ იტანს ნაზი ყლორტები. ხშირად იგი გადახურდება და იწვება. გადამწვარი ჩაი კი უარომატო და უხარისხოა.

კიდევ ერთი გულისტკივილი აქვთ ჭლოუელ მეჩაიეებს და ალბათ საქართველოს ყველა მეჩაიე ქალს. ჩვენი სახელოვანი მეცნიერები სიამოვნებით მიირთმევენ სიმხნევის ელექსირს და ტკბებიან მისი სურნელით, მაგრამ უთუოდ არ იციან, თუ რა ძნელია ჩაის მოყვანა და მისი კრეფა, თორემ დღემდე უსათუოდ მოიფიქრებდნენ გამოეგონებინათ ელასტიკური ხელთათმანი და ნაზი, წყალგაუმტარი სპეცტანსაცმელი. ასეთის შექმნა განუზომლად გაადიდებდა ჩაის მკრეფავთა შრომის ნაყოფიერებას.

ჩაი ხომ ჩვენი სიამაყეა.

**ოლია რევია**

რაისა ჭოლოკუას კომკავშირული რგოლი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სექტემბერი მოგვილოცავს!

მის გაკვეთილზე ისეთი არაფერია, რაც გარეგნული ბრწყინვალებისათვის იყოს განკუთვნილი. ცდილობს თანდათან, შეუმჩნევლად აიყოლიოს კლასი, თითოეული მოსწავლე გახადოს მთელი გაკვეთილის აქტიურ მონაწილედ და ამით თითქოსდა თავზე მოუხვევლად მიაღწიოს საწადელს.

მისთვის სკოლა პედაგოგიური კვლევას თავისებური ლაბორატორიაა. როცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა სვიმონ გამსახურდიამ დაიწყო ექსპერიმენტი ეგრეთწოდებულ პრობლემური სწავლების საკითხებზე, მას დამხმარედ და თანამემწედ მანანა კობახიძე მოუჩინეს.

ექსპერიმენტის მთავარი მიზანია მოსწავლეები მიაჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებას, ინტელექტუალურ აქტივობას, რათა გაკვეთილის პროცესში შექმნილ პრობლემურ სიტუაციაში თვითონ გადაწყვიტონ დასმული საკითხები. მანანა გაიტაცა ამ მუშაობამ და პროფესიული კმაყოფილებაც განიცადა... ექსპერიმენტის პირველი წარმატებები მაშინ ფართოდ განაზოგადა საქართველოს ტელევიზიამ და პრესამ.

ახალგაზრდა პედაგოგმა იცის, რომ სწავლება და აღზრდა განუყოფელი ცნებებია. ამიტომ ის თავის მოსწავლეში მარტოოდენ მომავალ ისტორიკოსს როდი ხედავს, არამედ პატრიოტიზმის, შრომისმოყვარეობის, სამართლიანობის, თავმდაბლობის გრძნობებით აღვსილ მოქალაქეს. 1972 წლიდან მიჰყავს მანანას ტელევიზიით საბჭოთა კავშირის ისტორიის კურსი. იგი აქტიურად მონაწილეობს სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (საუკეთესო კლასის ხელმძღვანელია), ამავე დროს სათავეში უდგას სკოლის შემოქმედებით საბჭოს, ხელმძღვანელობს ისტორიის წრეს...

დაუღალავი გარჯის შედეგად ეწვია მას 1972 წელს ორი დიდი სიხარული: საუკეთესო მასწავლებლის „გვირგვინი" და ჯილდო — „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი.

როგორი ადამიანია?

სხვისი ჭირ-ვარამის პირველ გამზიარებელს, თვალებში მოწოლილ მცირე ნაღველსაც მაშინვე მიუხვდება მთელი კოლექტივი...

როგორი აღმზრდელი?

ამაზე, ახალგაზრდა პედაგოგის ნორა ტარიელაშვილის ერთი გახსენებაც კმარა:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მანანას წამოყენების მეორე დღეს სკოლაში დიდი სიხარული იყო. აღელვებული ბავშვები გაკვეთილზე საუბარს ვერ ათავებდნენ.

მიზეზი გამოვიკითხე... მოსწავლეები მანანა მასწავლებელზე საუბრობდნენ. გეოგრაფიის გაკვეთილზე, რომელსაც მე ვატარებდი, ცოტა დრო დაეთმო საგანს, მაგრამ იგი მაინც საუკეთესოდ ჩავთვალე; 45 წუთი ახალგაზრდა მასწავლებელზე, პედაგოგის ადამიანურ ღირსებაზე საუბარი იმ სიტუაციაში მოსწავლეთათვის აუცილებლად მივიჩნიე, მათ უნდა უყვარდეთ ადამიანი!"

ბავშვებს უყვართ ახალგაზრდა მასწავლებელი. მოსწავლეები მას დაუფარავად ანდობენ თავიანთ საიდუმლოს. დღიურებსაც აკითხებენ, იციან, რომ მანანა მასწავლებელს საკუთარი თავივით შეიძლება ენდო. ამას იმიტომ გრძნობენ, რომ მისი გაკვეთილი ყოველთვის სიახლის მთესველია, სიკეთის აღმზრდელია.

კითხვაზე, თუ როგორ მიაღწია თავის პროფესიაში მანანა კობახიძემ წარმატებებს, იგი უბრალოდ პასუხობს:

— ვმუშაობ, ჩემს საქმეს ვაკეთებ! ბავშვში მუდამ პიროვნებას ვხედავ, მის ფსიქოლოგიურ განწყობას ვუკვირდები, ამ განწყობას ვუხამებ ჩემს მათდამი დამოკიდებულებას, ამიტომაც მეადვილება მათთან მუშაობა, ამიტომ არ მიჭირს ჩემი მოვალეობის შესრულება. დღევანდელი სკოლაც, საერთოდ, ისე მესახება, როგორიც ჩვენია, მაძიებელი კოლექტივის სკოლა, სადაც მთავარია მოინდომო, სიახლეზე იფიქრო და მწვანე შუქიც გაუწყებს — გზა ხსნილია!

ახალგაზრდა პედაგოგისათვის მუშაობაში მთავარი ბავშვებთან კონტაქტია. მას სწამს, რომ იქ, სადაც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დადებითი კონტაქტი არ არსებობს, სადაც ბავშვი მასწავლებლის სიყვარულს არ გრძნობს, იგი არასოდეს მოეკიდება მას ნდობით. მანანამ იცის, თავიდან თვითონ უნდა ენდოს...

—გაკვეთილზე მასწავლებლის შესვლა ბავშვებს უნდა უხაროდეთ, მათი ბავშვური საიდუმლოს მოზიარეც უნდა გახდე, თითოეულს სულში ჩახედო. მხოლოდ ამის შემდეგ არ გაგიჭირდება მათთან, ამის შემდეგ შეამჩნევ, რომ არ ემძიმებათ შენთან ყოფნა, — ამბობს იგი და მოსწონს, როცა მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, კონტაქტი დიდ ნდობასა და სიყვარულზეა დაყრდნობილი. როცა ეს ასეა, მოსწავლეთა დისციპლინის საკითხიც მოწესრიგებულია.

ცდილობს, მისი გაკვეთილები არ ჰგავდეს ერთმანეთს, რადგან ბავშვი მუდამ სიახლის, დიდისა და ნათლის მომლოდინე უნდა იყოს. ამიტომ სჭირდება პედაგოგს სწავლების მუდამ ახალი გზების ძიება, არსებულის დახვეწა. ეს კანონთა კანონია მანანა კობახიძისათვის საგნის სწავლებაში. როგორც კლასის ხელმძღვანელი, ცდილობს მის თვალთახედვას არ გამოეპაროს მოზარდის ცხოვრების არცერთი მომენტი, შიშობს კიდეც — ვაი თუ, გამომრჩა რაიმე მათთან დამოკიდებულებაში და ადვილად აღსაზრდელი ძნელად აღსაზრდელი გამიხდესო...

მას ხშირად ეკითხებიან:

— რა გავლენას ახდენს შენი ექსპერიმენტი მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაზე?

პასუხიც მზადა აქვს: — რამდენადაც ეს ექსპერიმენტი მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას და ინტელექტუალურ აქტივობას იწვევს, შედეგიც სახეზეა. თანამედროვე ადამიანი ამ თვისებების გარეშე წარმოუდგენელია.

ერთმა მეათეკლასელმა სკოლასთან დამშვიდობებისას შეკითხვა მისცა:

— როგორი გინდათ იყოს თქვენი აღზრდილი?

— ძლიერი პიროვნება, ღრმა ცოდნით შეიარაღებული, ინტელექტუალური, პრინციპული და ფაქიზი სულის! — უპასუხა მასწავლებელმა.

გოგონამ უბის წიგნაკში ჩაინიშნა პედაგოგის ნათქვამი.

...წლების შემდეგ ყოფილმა მოსწავლემ მას უბის წიგნაკში ჩანიშნული სიტყვები წააკითხა:

— თქვენი სიტყვები მიმყვება ცხოვრების საგზლად... თქვენთან მივეჩვიე და ვერასოდეს ვწყვეტ სწავლას, ახლის ძიებას, ვცდილობ ადამიანებთან ურთიერთობაში ყველაზე საუკეთესო და მიმზიდველი შევინარჩუნო.

მისადმი მიწერილ ბარათებში ბევრი ახალგაზრდის ნათელ სულს შეიცნობთ, მათში კარგად ჩანს ახალგაზრდების მსოფლმხედველობა.

— მე სხვას არაფერს ვაკეთებ, — ამბობს მანანა, — რასაც ჩემი ყოფილი მასწავლებელი თალიკო მოსიაშვილი არ აკეთებდა. მან შემაყვარა ისტორიის საგანი; სკოლის შემდეგ არც მიფიქრია სხვა არჩევანზე, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე. უნივერსიტეტის შემდეგ, როცა ასარჩევად ორი გზა გადაიშალა, მეცნიერის გზას სკოლა ვარჩიე, დაარსების დღიდან შევესისხლხორცე ექსპერიმენტულ საშუალო სკოლას, სადაც დიდია კოლეგიალობა. მის ხელმძღვანელთა მიერ პედაგოგისადმი დამოკიდებულებაში სწორი გეზია აღებული, რაც ძირითადში ერთხელ არჩეული პროფესიის ბოლომდე სიყვარულის, პატივისცემის განმსაზღვრელია.

საქმის სიყვარულმა და ერთხელ არჩეული პროფესიის ერთგულებამ ბევრჯერ მოუტანა მანანა კობახიძეს და მისი სკოლის კოლექტივს სიხარული. სასიხარულო იყო, როცა იგი ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, კიდევ უფრო სასიხარულო, როცა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად იქნა არჩეული.

...სექტემბრის დილას ტაქსი აუყვა საირმის ქუჩას.

მძღოლი ქალიშვილს გაესაუბრა.

— პირველ ექსპერიმენტულ რესპუბლიკურ საშუალო სკოლაში მიდიხართ?

— დიახ!

— თქვენ ამ სკოლის პედაგოგი ბრძანდებით?

— დიახ!

ტაქსმა აღმართი აათავა და სკოლის ჭიშკართან შედგა...

ქალიშვილმა ხელჩანთა გახსნა...

მძღოლი შეიშმუშნა.

— თქვენ მანანა კობახიძე არა ხართ? ჩვენი დეპუტატი!

ქალიშვილმა გაიკვირვა:

— თქვენ საიდან მიცნობთ?

— წყნეთელი ვარ, ჩვენთან ბევრგან იყო თქვენი სურათი გამოკრული, თქვენი ბიოგრაფიაც ვიცი, ჩემი არჩეულიცა ბრძანდებით, ქალიშვილო!.. ისე, აქეთკენ ხშირად ამომყავს მგზავრები... საირმისქუჩელებს ამ სკოლაზე და მის მასწავლებლებზე კარგი სიტყვა არ ელევათ... გაგემართლებინოთ ჩვენი ნდობა. სექტემბერი მომილოცავს. კეთილ გზაზე გევლოთ, შვილო!

**ნათელა ფაილოძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დოდო ჯაჭვლიანი**

## რა დიდებულად

მზე ამოსულა უზარმაზარი,
თეთნულდის თავზე დაკიდებულა,
დაკიდებულან მთებზე სოფლები —
რა დიდებულად...

გამწვანებულა ჩემი სათიბიც,
კოშკის ჩრდილებიც გადიდებულან,
გადიდებულა მთვარე ნატიფი —
რა დიდებულად...

უშგულს გადმოსულა თეთრი ლამარა,
ხატიდან გადმოსულა დამშვიდებულად,
დამშვიდებულან უშბის კალთებიც —
რა დიდებულად...

სიტყვას ამბობენ ჩემი სვანებიც,
ძლიერს მთებურად,
ლილე, ო, ლილეს აგუგუნებენ —
რა დიდებულად...

მზე ამოსულა უზარმაზარი,
და მთებზე უფრო გადიდებულა,
გადიდებულა ენგური ბარში —
რა დიდებულად...

## მაკას

შროშანისფერი, ცახცახა კაბით,
ჩაშლილი თმების სწორი სიმებით,
გადარეული თეთრი ცხენით და
აფეთქებული მწვანე მინდვრებით,
მოქრიხარ ისე, მოდიხარ ისევ,
მოდიხარ, როგორც წვიმის შოლტები...
და მოფარფატე სიზმრებს შორდება
თეთრი კლავიშის მწველი გოდება...
ო, როგორ ცეკვავს წვიმა ბალახზე,
ყაყაჩოს ბაგეს უწყალოდ კოცნის,
ციმციმებს ნამი მარგალიტივით,
და გათენება ბრწყინდება ლოცვით.
მოდიხარ, როგორც ყვავილი ველის,
მოდიხარ სუსტი, ძლიერი, მწველი,
და ქარი გიხსნის ქარვისფერ ფარდას,
მოხვედი... კრძალვით შემოდექ კართან...

**ნაზი ჭედია**

## ზეცაზე მაღალს!

**ზეცაზე მაღალს ვუწოდებ შენს სულს,
ზეცისებრ ფაქიზს და ზეცისეულს,
კი არ ვუწოდებ, მჯერა ასეა,
და მიხარია რომ ეს ასეა,
რომ სიყვარულის, დღეს ტაძრად ქცეულს,
ვერავინ გამჩნევს—გულშეშფოთებულს...
და მე კი ვიცი, რომ გული შენი,
მხოლოდ სიკეთით და მზით სავსეა,
ეს კი ძვირფასო, ყველაზე დიდი,
ხელუხლებელი სილამაზეა...**

* * *

**ის მოდიოდა ქუჩაში მარტო
და კითხულობდა თვალებით: რატომ,
რატომ ხდებაო ამ ქვეყნად ასე,—
როცა ხელთა გვაქვს, ველარ ვაფასებთ
ვერც ჯანმრთელობას, ვერც სიჭაბუკეს,
და ვერც სხვების გვშურს სიჩაუქე...
ის მოდიოდა ნაბიჯით ჩქარით,
ხან თავზე თეთრ თმას უწეწდა ქარი,
ხან კი მთის სიო ჩუმი და ნელი,
თმას უვარცხნიდა უხილავ ხელით,
და მის თვალებში რაღაცა ძნელი,
იხატებოდა ჩუმი ნაღველი...
შევყურებდი და ვფიქრობდი, ნეტავ,—
რა აწუხებდა მას უფრო მეტად?**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ციალა არდაშელია

# ლხინი

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

თამადა ენამზეობდა. სუფრის წევრები გატრუნულნი ისხდნენ. თვალებში შესციცინებდნენ ეშხში შესულ ბრგე ვაჟკაცს.

— დიახ, ეს ყვავილივით სათუთი გოგო — ასეთი გოგო ხელის გულზე უნდა ატაროს მამაკაცმა, ეფეროს და ელოლიავოს — ჰოდა, ასეთი ნაზი გოგო არ უშინდება-მეთქი არანაირ სიძნელეს, თავისი პატარა ხელებით მტვერს და ნაცარს აცლის იმ ფასდაუდებელ საგანძურს, რაც მიწისქვეშაა დამარხული და, რაც მთელი ერის სიამაყეა. და არა მარტო ამზეურებს მათ, შეუძლია აამეტყველოს ისინი. დიახ, დიახ! ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არაერთხელ დაბეჭდილა დიდი ერუდიციით, საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი მისი ნარკვევები და წერილები... არ შემაწყვეტინო, ძალიან გთხოვ, მაია, მე დღეს თამადა ვარ ამ ღირსეულ სუფრაზე, ჩემს საყვარელ ოჯახში, რომელიც შენი საყვარელი ოჯახიცაა ამავე დროს.

მართალია, თქვენი დღესასწაულია დღეს, დღეს ყოველი თქვენი სიტყვა და სურვილი კანონია ჩვენთვის, მამაკაცებისათვის, მაგრამ, ამჯერად, ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, არ დავემორჩილო შენს სურვილს, ჩემო მაია. ყველამ, აქ დამსწრემ, შესანიშნავად იცის, ვინ არის მაია სიხარულიძე და მისი სახით როგორი ღირსეული მკვლევარი ჰყავს ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას. მაგრამ, როგორც წეღანაც აღვნიშნე, მაია ამასთანავე ქალია, ნაზი და სათუთი ქალი, მომავალი დედა, მომავალი მეუღლე. ქალი კი, მოგეხსენებათ, ალამაზებს და ახალისებს ჩვენს ცხოვრებას, მით უმეტეს, მაიკოსთანა ქალიშვილები ხომ ათასწილ უფრო მიმზიდველს ხდიან მას. მზე და სინათლე მოაქვთ ჩვენთვის, მამაკაცებისათვის. ქალი ჩვენი სათაყვანო ხატია, რომლის წინ მუხლი უნდა მოიყაროს კაცმა და ილოცოს. ჩემო მაია, „მაშა დუმილიც მიითვალე შენდამი ლოცვად!“

— ბრავო, ავთო!

— დიდებულია!

— ჩვენს მშვენიერ მაიკოს გაუმარჯოს!

— მაიას სიცოცხლე და გამარჯვება!

— რა უნდა დავუმატო თამადის სიტყვას? ჭეშმარიტად ღირსეული სადღეგრძელოა!

— იცოცხლე მაია, შენი გაბედნიერების დღეც სულ მალე აღვენიშნოს!

სუფრა ზრიალებდა. წამოწითლებული, დარცხვენილი მაია ვეღარ აუდიოდა მადლობის თქმას.

— იცის ბიჭმა თავისი საქმე! — ინგამ ანაზდად მუხლზე მოუჭირა ხელი მეგობარს.

— არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო... ასე არ შეიძლება... — ბუტბუტებდა მაია.

— გაჩუმდი ერთი! ყველაზე ნაღდი და მართალი, რაც ამ სუფრაზე ითქვა, შენი სადღეგრძელო იყო, მაღალფარდოვნებისა და პათოსის მიუხედავად. მაგრამ ეგენი ეპატიება, ხელოვანი კაცია, მერე პლიუს შენმა ეშხმაც ცეცხლი წაუკიდა და...

— კარგი რა, ინგა. ცოლშვილიანი კაცია. რაებს ლაპარაკობ!

— ნუ მომკალი სიცილით! — ინგამ ცხვირსახოცი მიიფარა ტუჩებზე, მერე ეშმაკურად გამოხედა მეგობარს და მისი დაბნეული, გაოცებული სახის დანახვაზე, ხელახლა წასკდა სიცილი.

— კი მაგრამ, რა ვთქვი ასეთი?

— სანამდე იქნები შტერი? — ჩასჩურჩულა ინგამ, მერე კისერზე სწრაფად, მალულად აკოცა და ისევ ჩაიფხუკუნა.

— ინგა!

— კარგი, კარგი... დაწყნარდი. ავთომ რაღაც კალამბური თქვა, მგონი. ოჰ, რა ბიჭია მაინც ეს შეჩვენებული! ნუ, პროსტო პრელესტ! — და ინგამ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა მათკენ მომზირალ, სახეგაბადრულ თამადას. მერე მაიას მოუბრუნდა კვლავ და ეშმაკური ღიმილითა და თვალების ჭუტვით განაგრძო: — ნუ, როგორ შეიძლება ასეთი ტიპი არ მოეწონოს ქალს? ჯერ მარტო ყელს რომ მოიღერებს და სიმღერას შემოსძახებს, ის რათა ღირს? რაც მთავარია, ქალის ყადრი იცის, იცის, ვის როგორ მოექცეს. არაფერი შეეშლება. შენ ჯუმბერს შეხედე, რა სახე აქვს, გეგონება, აქაც სასამართლო პროცესი მიჰყავს! დაიცა, შენ იმ კეკელა ვარდოს თუ იცნობ, ჯუმბერის გვერდით რომ ზის?

— პირველად ვხედავ. — გაეცინა უნებურად მაიას ინგას შედარებაზე.

— ნუთუ მართლა? ქაჯაიას ქალიშვილია, გენაცვალე. როგორ გეკადრება. არ თქვა ახლა, ქაჯაია ვინ არისო. რაო, რაო, ვერა ქაჯაია არ გაგიგია? შენ მართლა მარსიდან ხომ არა ხარ ჩამოფრენილი? იმ ჩვენი თლად უფროსის დაქალია, ბოშო. ინესას რა საერთო აქვს იმ ქალთან? ეგ უკვე ინესას საიდუმლოებაა. თუ გახსოვს, ჯერ კიდევ სკოლაში ჰქონდა ინესას მიდრეკილება „დიდი კაცებისაკენ“.

— შენ უკვე ჭორაობ, ინგა.

— ოჰ, პარდონ, მაპატიე. ნუ მოკუპრე წარბები. ყველა ისე ცხოვრობს, როგორც თვითონ სიამოვნებს, როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ. და ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. მე უბრალოდ, ახლა ცოტა ნასვამი ვარ და... ხომ იცი ჩემი ამბავი? ენა ნებაზე მივუშვი... მე არ მიდღეგრძელებია მაიკო? როგორ გეკადრებათ, ბატონო თამადა. დავლიე კიდეც. კი, ბატონო, რაკი არ გჯერათ, მეორეჯერაც სიამოვნებით დავლევ ჩემი მაიკოს სადღეგრძელოს.

ინგა წამოდგა, რიხიანად ასწია ჭიქა:

— მაიკო, გენაცვალე, კარგად იყავი. მე აბა, რა უნდა გითხრა იმაზე უკეთესი, რაც აქ შენზე უკვე ითქვა? მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ჯერ კიდევ სკოლაშივე, ერთ მერხზე რომ ვისხედით, ილიასი არ იყოს, კოჭებში გატყობდი, შენგან სხვანაირი, შენი ბედოვლათი და ქარაფშუტა ამხანაგებისაგან განსხვავებული... ნამცხვარი გამოცხვებოდა; რა გაცინებთ, ხალხო? ჩემთვის კაი ნამცხვარი ყოველივეს და ყველაფრის საზომია. დიახ. სხვათაშორის, ჩემი მეუღლეც ამავე აზრისაა. ჰო, რას ვამბობდი?

— ნამცხვარზე ბრძანებდით!

— მეუღლეზე!

— ნამცხვარსა და მეუღლეზე მოვრჩი. გმადლობთ.

— მაიკოზეც?

— მაიკოზეც. მე ახლა ერთი რამ მაინტერესებს უბრალოდ: რატომ გამოგვიყვეს ქალებს ეს ერთი დღე? ეს ერთადერთი დღე? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დანარჩენი 364 დღე მამაკაცებისაა? თუმცა, ჩვენ, ქართველ ქალებს სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ისედაც განებივრებული ვართ ჩვენი კაცების ყურადღებით. რატომ გეღიმება ასე ეშმაკურად, ჩემო ინესა? ან შენ მაიკო? განა ასე არ არის? ჯერ მარტო ჩვენს ცეკვებს რომ უყურო, მაგი რათა ღირს? ქალი თაყვანისცემის ობიექტი, ქალი — მოშუღართა შემარიგებელი, ქალი — ღვთაება. კიდევ რას ვეუბნებით ხოლმე უცხოელებს? იქნებ თამადამ შემახსენოს?



— ღმერთმა დასწყევლოს დიაცი, მეტრე ლამაზი ქალიო.

სუფრაზე კივილი ატყდა. იცინოდა ყველა, იცინოდა ინგაც. თამადა კი მშვიდი სახით იდგა და კმაყოფილების ღიმილს მალავდა უკანასკნელ მოდაზე დაყენებულ ულვაშებში.

ზარის მკვეთრი, გაბმული ხმა არავის გაუგონია, მალე სამ ახალგაზრდას შემოუძღვა ინესა გაბრწყინებული სახით.

— აი, ვინ გვეწვია...

ინესამ სუფრის წევრებს წარუდგინა საშუალო ტანის, ფერმკრთალსახიანი, შავთვალება ბიჭი, რომელმაც ცერემონიულად აკოცა დიასახლისს ხელზე და სამი მიხაკი მიაწოდა. დანარჩენი ორი ახალგაზრდა თითქოს უკან-უკან იხევდა.

— გიგა აგლაძე — ჩემი ახლო ნათესავი და მისი მეგობრები...

— გიგა, ჯიგარო, აქ საიდან, როგორ? გენაცვალე, სულში!

ფერმკრთალსახიანი ბიჭი. დინჯად, ღირსების გრძნობით გაემართა მის შესაგებებლად ხელებგამოწვდილი ავთოსაკენ.

თამადამ და ახლადმოსულმა მხურვალედ გადაკოცნეს ერთმანეთი. მერე თამადამ თავის გვერდით მოისვა გიგა, მის მომყოლ ორ ახალგაზრდასაც სასწრაფოდ მიუჩინეს ადგილი მასპინძლებმა და წამით მიყუჩებული სუფრა ისევ ახმაურდა.

მაიკომ ინგას მზერა დაიჭირა და შეეცადა მოქცეულ ყბა გაესწორებინა.

— რა იყო, მაიკო? რა მოგივიდა?

— ამას... რა უნდა აქ? — ისევ მოექცა ყბა მაიკოს.

— ვერ გაიგონე, ჩემი ახლო ნათესავიაო რომ თქვა ინესამ?

— ინგა, ამას... ამას რა უნდა აქ? ეს ხომ... — ენა ებმოდა, სათქმელს თავს ვერ აბამდა, — ან... ავთო რანაირად შეეგება?

— იმ „დიდის“ ძმისწულია, გენაცვალე. ესეც არ იყოს, გიგა აგლაძის სახელი მთელ ქალაქში ქუხს. არ თქვა ახლა, ესეც არ გამიგიაო. მაგრამ შენ მართლა რა მოგივიდა?

— ინგა, გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი. მერე... მერე გიამბობ...

. . . . . . .

ტაქსის მძღოლს ის-ის იყო მანქანა უნდა დაეძრა, რომ უცებ ორმა ახალგაზრდამ სწრაფად გამოაღო კარი, შესხდნენ და მძღოლს უბრძანეს: — ვაკეში!

მძღოლმა გაკვირვებით მოხედა მათ:

— ქალიშვილები კრწანისში მიდიან!

— კაცო, შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე! — შეუყეფა მძღოლს

ეროვნული

წითურმა, გამხდარმა ბიჭმა, მერე მაიას შეავლო თვალი და მწკლარტე ღიმილით გაიკრიჭა: — ჩვენ მოვრიგდებით!

მაიამ წარბები აწკიპა, შესიტყვებას აპირებდა, მაგრამ წინა სავარძელზე მჯდარმა დამ დაასწრო: — არა უშავს რა... რაკი ასე ეჩქარებათ...

მაიამ მისკენ მოპყრობილ უმცროსი დის თვალებში უსიტყვო თხოვნა ამოიკითხა და თანაც შეფარული შეშფოთება. მხრები აიჩეჩა. გაჩუმდა.

წითურმა ბიჭმა ლაპარაკი წამოიწყო. რომელიღაც ქეიფის ამბავს უყვებოდა ფერმკრთალსახიან ამხანაგს. ფერმკრთალსახიანი შეურხევლად იჯდა, თავის თითქოს ზეთჩამდგარ თვალებს არ ახამხამებდა და თითო-ოროლა რეპლიკას სჯერდებოდა. წითური თვალებში შესციცინებდა, მას აშკარად ეტყობოდა, რომ ეფოლორცებოდა.

„ღმერთო ჩემო! შეიძლება ადამიანი ასე ჰგავდეს ფინიას? ეს რა უბედურებაა!“ — გაუელვა მაიკოს და კვლავ ფრთხილად შეათვალიერა გვერდზე მსხდომნი.

წითური ენას არ აჩერებდა. დუჟმორეული ახლა უკვე იგინებოდა კიდეც, იფურთხებოდა, მერე ვითომ ქალიშვილების მისამართით ცალყბად ბოდიშს იხდიდა, მერე ისევ ისე ბილწსიტყვაობდა. მძღოლმა კვლავ მოუხედა მას:

— ყმაწვილო, აქ ქალიშვილები სხედან...

— წადი, კაცო-მეთქი, შენი საქმე ნახე! — შეუღრინა მას ბიჭმა და კბილები ავად დაკრიჭა. ფერმკრთალსახიანი ისევ ისე მშვიდი სახით, გაუნძრევლად იჯდა, თითქოს მას სრულებით არ ესმოდა ის, რაც ირგვლივ ხდებოდა.

მაია გრძნობდა, მთელი სხეული ეწვოდა ლოყები მხურვალებისაგან ლამის შემოსკდომოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა.

მანქანამ ბარნოვზე გაუხვია და ბიჭებმა იგი სამსართულიანი აგურის შენობის წინ გააჩერებინეს მძღოლს. წითურმა სამმანეთიანი დაუგდო მძღოლს, ხურდა არ არის საჭიროო, თვალები გადაუტრიალა და ფერმკრთალსახიანს შეეშველა კარის გამოღებაში.

ანაზდად ფერმკრთალსახიანმა მაიასკენ მოაბრუნა სახე და მძიმედ, ნება-ნება ამომარცვლა: — თქვენც წამობრძანდით, გპატიჟობთ წვეულებაზე.

მაიას მუხლები აუკანკალდა. წამით გული თითქოს გაეყინა. მაგრამ ნებისყოფის დაძაბვით შესძლო სიმშვიდის შენარჩუნება სახეზე, ის კი არადა, ღიმილის მსგავსიც კი გამოისახა ტუჩებზე:

— დიდად გმადლობთ, მაგრამ ძალიან გვეჩქარება.

— აჰ, გეჩქარებათ ხომ? — ფერმკრთალსახიანმა ახლა პირდაპირ შეხედა თვალებში ქალიშვილს: — გეჩქარებათ, ხომ? მერედა, ვის რათ უნდიხართ, თქვენი...

ქუჩური გინება მოწყდა უცებ ბიჭის ბაგეს:

— თქვენისთანებს... — განაგრძობდა იგი თითქოს საგანგებოდ შერჩეული, ბილწი სიტყვების ფრქვევას. ისედაც ფერმკრთალი სახე სულ გადაფითრებოდა. შავი, ზეთიანი თვალები სიბრაზისაგან მოწკურვოდა. ტუჩები გესლიანი ღიმილისაგან ეგრიხებოდა.

— კარგი, შეეშვი, გიგა. ამ ჩ...ისთვის იმლი ნერვებს?.. წამოდი, გველოდებიან. ხომ იცი, უმენოდ არ დასხდებიან სუფრაზე. ამათი...

მძღოლმა, ბოლოს როგორც იქნა, მიისაზრა და დასძრა მანქანა.

გაშეშებული, სახეგაყინული იჯდა მაია. ვერ გაეგო, რა მოხდა რა ღვთის რისხვა დატრიალდა მათ თავზე.

ცაცა ცრემლიანი ხმით მოუბრუნდა დას:

— როგორ ვერ იცანი! ეგ ხომ გიგაა, აგლაძე.

გიგა აგლაძე? ვინ არის გიგა აგლაძე? რატომ უნდა იცნობდეს მას მაია უსათუოდ? რას წარმოადგენს?

მაიამ გახურებულ შუბლზე ხელი მიიდო, მერე საფეთქლებზე ჩამოისვა. ლამის ახდოდა თავის ქალა. დიდი მეცნიერია? ან იქნება ცნობილი მსახიობია? ხელოვანი, პოეტი? იქნებ სპორტსმენია სახელოვანი?

— ვინ არის გიგა აგლაძე? — ძლივს ამოთქვა და ახლა ლოყებზე მოისვა ხელი.

— როგორ არ იცი? როგორ არ იცი? რამ გამოგაშტერა?

— ეგ გიგაა თუ ვიღაცა — დიდი გათახსირებული და გაფუჭებული ვიღაც ყოფილა, შვილო, — ანაზდად გაეპასუხა მძღოლ[illegible] ჩაში გადააფურთხა გაგულისებით. — ეგ ვინ ყოფილა, კაცო, რა სიტყვებს ამბობდა!.. ამის ოჯახში შეშვება იქნება? ფუი!..

— რას გვერჩოდა? კი მაგრამ... რას გვერჩოდა? — ჩაიჩურჩულა მაიამ და ისევ ისე შუბლსა და საფეთქლებზე მოისვა ხელი. ცაცა ტიროდა.

— რას გვერჩოდა-მეთქი, რა დავუშავეთ?

— არ იცი, ეგ რა ტიპიცაა? რომ განიშნებდი თვალით, ვერ მიხვდი?

— მერედა, რა დავუშავეთ? რა ვუთხარით! ცუდი რამე შევკადრეთ? თვითონ გზაზე გადაგვიდგნენ, სულ სხვაგან მივდიოდით და სხვაგან წაგვიყვანეს. აჰა... სუფრაზე არ წავყევით უცნოებს. მხარი არ ავუბით, ხასიათი არ გავუსწორეთ, არა?

— ეგ ხომ გიგა აგლაძეა, როგორ ვერ გაიგე!

— არ მეტყვი, ვინ ოხერტიალია ეს აგლაძე ბოლოსდაბოლოს. შენ თუ ასე კარგად იცნობ! — ახლა უკვე გაცხარება ვერ დაიოკა მაიამ და ხმაშიც მოუთმენლობა და რისხვა ჩაეღვარა.

— აგლაძე... როგორ გითხრა... აი ის, გოგონებს რომ იტაცებს ხოლმე მოტყუებითა და... ციხეში იჯდა ამაზე, მაგრამ „იმ“ აგლაძის ნათესავია და ეტყობა, ამიტომ მალე გამოუშვეს... ნია ბერიძის ამბავი მაინც არ გაგიგონია? გოგოს შოკი რომ დაემართა და ფსიქიატრიულში რომ დააწვინეს. ამ მხეცმა მოტყუებით გაიტაცა... მერე ძალა იხმარა და...

— ა, ა... ესაა ის ვაჟბატონი?. ა, ა, ახლა გასაგებია, ბატონო. ახლა ვიცი. მომაგონდა. ახლა ყველაფერი მესმის. აკი ციხეში ზისო, აკი დაისაჯაო?

— ხომ გითხარი, „იმის“ ნათესავია-მეთქი და...

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო. ბოდიშს ვიხდი, მაპატიე. არ ვიცოდი. „ვაი ჩვენი ბრალი!“

. . . . . . . .

— აბა, სმენა იყოს და გაგონება, მეგობრებო. მე ექსტრად მინდა დავლიოთ ჩვენი შემოსწრებული ძვირფასი სტუმრის, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცის გიგა აგლაძის სადღეგრძელო. გიგა აგლაძე ისეთი ბიჭია...

ჩამოვარდნილ სიჩუმეში უცებ მკვეთრად გაისმა სკამის რახუნის ხმა.

მაია გასასვლელისაკენ მიდიოდა. ისე მსუბუქად მიარხევდა ტანს, თითქოს იატაკს არც აკარებსო ფეხს.

— მაია... საით? — თამადას ყანწი შეაცივდა ხელში.

მაია მკვეთრად შემობრუნდა. თამადას შეხედა. ქალიშვილს მშვენიერი სახე ერთიანად გადასტეტკოდა. ცისფერი, ლამაზი თვალები საავდროდ ჩამუქებოდა.

— მე მეკითხებით?

— რა მოხდა, მაია? გვტოვებ?

— დიახ, მივდივარ, ბატონო ავთანდილ!

— რა იყო, მაია? რატომ მიდიხარ? ხომ არ გეწყინა რამე? — ახლა მასპინძლებმა გამოიდვეს თავი. შუა ოთახში შეჩერებულ მაიასაკენ იყო მიპყრობილი ყველას მზერა.

— მართლა გაინტერესებთ ჩემი წასვლის მიზეზი? — ერთობ ხაზგასმული სიმშვიდით გაისმა მაიას ხმა.

— რასაკვირველია.

— ღმერთო ჩემო, მაია!

— რაკი ასეა, კარგით, მოგახსენებთ. ახლავე მოგახსენებთ, ჩემო ბატონო.

მაია ძალიან წყნარი ხმით ლაპარაკობდა, თითქმის დამარცვლით. სვენებ-სვენებით, თუმცა შინაგანი დაძაბულობისაგან სახე წამოგზნებოდა, თვალები ანთებოდა.

— იცით, მე არ მინდა... — მაია ახლა ნახტომისთვის შემართულ ვეფხვს ჰგავდა — მე სურვილი არა მაქვს ვიჯდე იმ სუფრასთან, სადაც ეს, — მაიამ ხელი მიაშვირა მისკენ მომზირალ გიგა აგლაძეს, — სადაც ეს პირუტყვი ზის!.. — მოსჭრა ერთბაშად და კარისკენ გატრიალდა.

— მოიცა, მაიკო, მეც მოვდივარ!

ინგა ხმაურით დაედევნა მეგობარს.

ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა.

# ალოობა



## რეპორტაჟი შირაქის საკოლმეურნეო საველე კალოდან

ავტომანქანა აკაციების შუა გაჭრილ შარას მიუყვება. ზაფხულის მზე ჭილად დასდგომია ტარიბანასა და შირაქის ხელისგულივით გადაშლილ მინდვრებს. კაბინაში ნიავი იჭრება და მოთიბული ნედლი ბალახის სურნელი შემოაქვს. საამურად შრიალებენ მარცვალსავსე, ბარაქიანი პურის ყანები. მივდივართ სოფელ გამარჯვებისაკენ.

გამარჯვება ნიკო ფიროსმანის სამშობლოა. აქ კოლმეურნეობა 1930 წელს ჩამოყალიბდა. მისი პირველი მესვეურები იყვნენ ვასილ, სანდრო, ნასყიდა, ქიტა, იოსებ, ვანო ფიროსმანაშვილები. წლების მანძილზე მტკიცდებოდა და იზრდებოდა კოლმეურნეობა. დღეს იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც სამეურნეო ანგარიშზეა და თავს საკუთარი სახსრებით ინახავს, კოლმეურნეობა ექვსჯერ იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის მონაწილე. უკანასკნელ ორ წელიწადში, მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 100-ზე მეტი მოწინავე კოლმეურნე გააგზავნეს. შრომაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის 70-ზე მეტი კაცი დაჯილდოებულია მთავრობის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის 22 ქალია.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობა გამარჯვებული გამოვიდა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. მან კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის საპატიო სახელი მოიპოვა, ხოლო მის წევრებს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება მიენიჭათ.

* * *

კალოზე მთებივით წამომართულ ხვავებს შორის საქმიანად ფუსფუსებენ თავსაფრიანი ქალები, ზოგს ნიჩაბი უჭირავს, ზოგს ცოცხი, ზოგი კი ტომრებს ავსებს და ხორბალს ბეღელში გზავნის.

ამ სურათმა რატომღაც წარსული გამახსენა.

სოფელში ერთი მტკავლისოდენა კალო გვქონდა. აქ ვლეწავდით კევრით მინდორში ანაკრეფ თავთავს. პაპაჩემი ხარებს წინ მიუძღოდა, ხოლო ბავშვები კევრზე ვისხედით. ბერიკაცი მთელ დღეს უნდებოდა კალოზე გაშლილი ძნების გამზეებას. შემდეგ ნიჩაბმომარჯვებული ქალები აღმოსავლეთის ნიავს ელოდნენ, რომ განალეწი როგორმე გაენიავებინათ და მარცვალი ათასგვარი მინარევისაგან დაეწმინდათ. შრომა ძალზე მომქანცველი იყო. კაცი მთელ დღეს მტვერსა და სიცხეში მუხლჩაუხრელად ტრიალებდა. ზამთრის სარჩოს ძლივს აგროვებდა.

ვუყურებდი ახლა თავსაფრიანი ქალების გაღიმებულ სახეებს და ვგრძნობდი, რაოდენ სიხარულისა და ხალისის მომგვრელი იყო მათთვის შრომა.

ჩვენთან კოლმეურნეობის აგრონომი მიხეილ ფიროსმანაშვილი მოვიდა.

ტკბილად საუბრობს მიხეილი. ბრინჯაოსფერ სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს. მიხსნის და მაცნობს სამუშაო უბნებს, ადამიანებს: ეს ინჟინერ-მექანიზატორია, ის მარცვალმწმენდის მემანქანე, აგერ ხვავებს შორის ხელებს რომ იქნევს, ბრიგადირია. ყველას თავისი საქმე აქვს მიჩენილი, არ გაადეთებს და პასუხს აგებს. ასეთია ჩვენი წესი და კანონი.

საქმის ვითარება რომ უკეთ გამეგო, რამდენიმე კითხვით მივმართე:

**— რამდენი ტონა ხორბალი აყვავია, კალოზე?**

— ახლა ამ კალოზე 420 ტონა ხორბალი ახვავია, — აგრძელებს იგი საუბარს, — ერთი ამდენი უკვე ბეღელში დავაბინავეთ. ყოველდღიურად 200 ტონაზე მეტი მარცვალი შემოდის კალოზე. მარცვალმწმენდი აგრეგატები ველარ ასწრებენ ხორბლის დახარისხებას. ბიჭები დღედაღამ მუშაობენ.

**— როგორია თქვენი გეგმა-ვალდებულება?**

— წელს ჩვენი კოლმეურნეობა იმაზე მეტ მარცვალს აწარმოებს, ვიდრე გასულ წელს გვქონდა გეგმით გათვალისწინებული და სამშობლოს ვალდებულების ზევით 800 ტონაზე მეტ ხორბალს მივცემთ. ამის გარანტიას იძლევა წლევანდელი უხვი მოსავალი!

**— პატივცემულო მიხეილ, ხომ ვერ აგვიხსნით როგორ მოგყავთ ხორბლის მაღალი მოსავალი?**

— მოგეხსენებათ, შირაქის მიწა ძალზე მადლიანია. ამ ადგილს ტყუილად კი არ ეძახიან პურის სამშობლოს. ხნულში ჩათესილი ერთი მუჭა თესლი ზღვად იქცევა. ჩვენმა წინაპრებმა ეს კარგად იცოდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამიტომ სოფლიდან კარგა მანძილით დაშორებულ ამ ველს სახნავ-სათესად იყენებდნენ.

უხვი მოსავლის საიდუმლოება, ვფიქრობ, პირველ რიგში ნათესების კარგად მოვლაშია. მაგალითად, შარშან, სანამ თესვას შევუდგებოდით, საგულდაგულოდ დავამუშავეთ ნიადაგი, შევიტანეთ საჭირო რაოდენობის სასუქი, დავფარცხეთ, მოვიმარაგეთ მაღალკონდიციური თესლი და დავიწყეთ თესვა. არც წამოზიზინებულ ჯეჯილს მოვაკელით მზრუნველი ხელი. ვაწარმოეთ მისი დამატებითი გამოკვება, სარეველების ჰერბიციდებით შეწამლა და... აი, როგორც ხედავთ, ჩვენი შრომის ნაყოფი სახეზეა. მიუხედავად ზაფხულის გაჭიანურებული გვალვებისა, მაინც ბარაქიანი ალოობა გვაქვს.

ნიავის ქროლვაზე ზღვასავით ღელავს თავთავდახრილი ოქროსფერი ყანა. რიგში ჩამდგარან ველის „ცისფერი ხომალდები". მათ წინ მიუძღვით კომკავშირელი ზაურ ზუბიაშვილი.

ზაური წელს დაბრუნდა ჯარიდან და კომბაინის საჭეს მიუჯდა, მიუჯდა და სოციალისტურ შეჯიბრებაში თავისი მამა, ლენინის ორდენოსანი ავთანდილ ზუბიაშვილი გამოიწვია, გაჩაღდა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დამკვრელური შრომა. მარტო ზაურმა პურეული მოსავალი 128 ჰექტარზე აიღო და 4.321 ცენტნერი მარცვალი გალეწა. კომკავშირელი ჭაბუკი სათავეში უდგას მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის გაშლილ შეჯიბრებას.

ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა წითელწყაროს რაიონში ერთ-ერთი პირველთაგანია, მან სამ წელიწადში შეასრულა მარცვლეული კულტურების წარმოების ხუთწლიანი გეგმა. სახელმწიფოს თითქმის ორჯერ მეტი მარცვალი მიჰყიდა, ვიდრე ეს მეცხრე ხუთწლედით იყო გათვალისწინებული. აქაურმა მემინდვრეებმა განსაკუთრებით შარშან ისახელეს თავი. მათ ქერისა და ხორბლის არნახული მოსავალი მოიყვანეს. კოლმეურნეობამ 1.588 ჰექტარი მარცვლეულის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 36,8 ცენტნერი მარცვალი, ხოლო 1.092 ჰექტარი ხორბლის ნათესის თითოეულ ჰექტარზე 40 ცენტნერი.

რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის ოსტატის სახელი დაიმკვიდრა მემცენარეობის № 2 ბრიგადის ბრიგადირმა, კომუნისტმა რევაზ გონაშვილმა. მისმა ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 42 ცენტნერი მარცვალი მიიღო და რაიონში ყველას აჯობა.

თავისი ბრიგადის წარმატებებსა და გამოცდილებაზე აი რა მოგვითხრო რევაზ ზონაშვილმა;

— მარცვლეულის მაღალი მოსავლის მოყვანაში დიდად გვეხმარება მეცნიერების უახლესი მიღწევები და მოწინავე პრაქტიკოსთა მდიდარი გამოცდილება. საქმიანი კონტაქტები გვაქვს დამყარებული საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებთან, რომელთა სასარგებლო რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები გვიადვილებს შრომასა და საუკეთესო წინაპირობას გვიქმნის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი პირობა პურეული კულტურების დროული აღებაა. თავთავის გადამწიფება მარცვლის დიდ დანაკარგს იწვევს, ამიტომ მოსავლის აღებისათვის საჭირო ინვენტარს, ტექნიკას, კალოებსა და ბეღლებს დიდი ხნით ადრე ვამზადებთ და შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ვიწყებთ მკას. აღებულ მოსავალს დროულად და საიმედოდ ვაბინავებთ.

როგორც ყოველთვის, ჩვენი მიზანია ახლაც უმოკლეს დროში ავიღოთ პურეული მოსავალი და კვლავ გამარჯვებით დავაგვირგვინოთ მიმდინარე სამეურნეო წელი.

საუბრის დროს თავმჯდომარე ვანო ფიროსმანაშვილი შემოგვეხწრო. მას კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში. იგი თხუთმეტი წელია მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. არის ორი წიგნის ავტორი და სოციალისტური შრომის გმირი.

— ჩვენს დღევანდელ წარმატებებს არ შეიძლება ქალებსაც არ ვუმადლოდეთ, — გვეუბნება ვანო, — გეტყვით ზოგიერთი მათგანის შესახებ, აი მაგალითად, თინა სულაშვილი, მას წელს 57 წელი შეუსრულდა. ქალიშვილობიდან დღემდე კოლმეურნეობაში მუშაობს, ქმარი სამამულო ომში დაკარგა და უკაცოდ დარჩენილ ოჯახს თვითონ გაუძღვა. პატიოსანმა შრომამ მას ბედნიერება და სიხარული მოუტანა. ჯერ კიდევ ადრე იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო შარშან შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს. თინა კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს საველე კალოზე.

ვანო სათითაოდ გვაცნობს რუსიკო გველუკაშვილს, ქრისტინე კორაშვილს, მედიკო და ლენა სულაშვილებს, ტასიკო კიკოლაშვილს. სასიხარულოა, რომ მათი ბეჯითი შრომით ამაყობს კოლმეურნეობა, რომ ყოველ მათგანს მკერდს მთავრობის ჯილდოები უმშვენებს.

საკოლმეურნეო კალოზე ყოველდღიურად 50-ზე მეტი მანდილოსანი ტრიალებს. მათი მოულლელი მარჯვენა ათასობით ტონა ხორბალს ახარისხებს და აბინავებს. დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება საქმიანი ფუსფუსი. მარცვლით დატვირთული ავტოკოლონები გუგუნით მიეშურებიან სახელმწიფო ბეღლისაკენ.

ალტაცებით დავყურებ ხორბლის ვეება ხვავებს, გავცქერი ოქროცურვილ მღელვარე ყანებს და ჩემდაუნებურად ჩუმად ვიმეორებ: იხაროს იმის მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანა!

**თენგიზ მორჩიაული,**
სიღნაღი

# ახალი ტრაქტორი

მალე ჩვენს მინდვრებზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს შეასრულებს ახალი ტიპის ტრაქტორი, რომლის ავტორები არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები. ახალი ტრაქტორი გარეგნულად ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორისაგან იმით განსხვავდება, რომ ძრავა და ძალური გადაცემის აგრეგატები განლაგებულია უკან, წინა ნაწილი კი წარმოადგენს ღია მილოვან ჩარჩოს. ჩარჩოზე საკიდი მანქანა-იარაღების განლაგების შესაძლებლობა უზრუნველყოფს რიგთაშორისებისა და მანქანის მუშა ნაწილების კარგ ხილვადობას, რაც თავიდან აგვაცილებს მცენარეთა დაზიანებას.

დღესდღეობით ჩაის კრეფის, რიგთაშორისების დამუშავების, სატრანსპორტო და სხვა სამუშაოთა შესრულების დროს სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოიყენება თვლიანი თვითმავალი შასები (ტრაქტორები). მთელ რიგ დადებით თვისებებთან ერთად ამ მანქანებს ნაკლოვანებები გააჩნია. ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ჭარბტენიან ნიადაგზე (ახლადდაშრობილ კოლხეთის მიწებზე) ისინი ტოვებენ კვალს, აჩენენ არხებს, რაც ხელს უწყობს ნიადაგის სტრუქტურის დარღვევას, ჩაის ბუჩქის ფესვების სისტემის გაშიშვლებას და მისი საერთო მდგომარეობის გაუარესებას. ამასთან, ამ მანქანების გამოყენება შეუძლებელია მცირე დახრილობის მქონე ფერდობზეც კი.

ახალი ტიპის ტრაქტორი (უნივერსალური თვითმავალი შასი) წარმოადგენს T-16-ის მოდიფიკაციას. მათ შორის პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახალ შასს უკანა ხიდი ისე აქვს გაკეთებული, რომ საჭიროების მიხედვით შეიძლება თვლიანიც იყოს და მუხლუხაც. ასეთი ხიდი არცერთ სხვა წინამორბედ ტრაქტორს არ გააჩნია.

უნივერსალური თვითმავალი შასი სხვადასხვა ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში გამოიყენება, ძირითადად კი იგი შესანიშნავი საშუალებაა ფერდობებზე (20 გრადუსი და უფრო მაღალი დახრილობა) და ჭარბტენიან ნიადაგებზე გაშენებული ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების რიგთაშორისების დასამუშავებლად. იგი გამოიყენება, აგრეთვე, როგორც სატრანსპორტო საშუალება 28 გრადუსი დახრილობის ფერდობზე (მაგალითად, თივის გადასაზიდად).

ამ უნივერსალური თვითმავალი შასის ნიმუშებს ამზადებს ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა. გაივლის დრო და ქარხნის რეკონსტრუქციის კვალდაკვალ, დაიწყება მისი სერიული გამოშვება. მაშინ ქუთაისის „რიონს" ეყოლება უნივერსალური უმცროსი ძმა, რომელიც დიდ როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ლ. ნინიძე

# ქალები ქმნიან „რიონს"



კბილანმჭრელი ციცინო ზოსიაშვილი

...ათამდე ადამიანი შემოხვეოდა გარს პატარა ტრაქტორს, რომელსაც მარჯვედ მართავდა სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ქერათმიანი ქალიშვილი... როცა ტრაქტორზე ლამაზი ქართული შრიფტით წარწერილი სახელწოდება „რიონი" ამოვიკითხე, დიდი სიხარული დამეუფლა, მერე ეს სიხარული სიამაყედ გადამექცა და სურვილი აღმეძრა მეთქვა იმ ცნობისმოყვარეებისათვის, რომ ტრაქტორი ჩემი მშობლიური ქუთაისის, ჩემი თანამოქალაქეების შრომის ნაყოფია.

მკვირცხლად მომუშავე ეს პატარა მანქანა, ქერათმიანი ქალიშვილის მტკიცე ხელებს დამორჩილებული, ძრავის რითმული გუგუნით, მთელ მსოფლიოში განთქმული მეფე-ზარბაზნის, მეფე-ზარისა და სხვა უნიკალური ქმნილებების გვერდით განაგრძობს თავის ჩვეულ საქმიანობას — თიბავს ბალახს, თხრის ორმოებს, კრეჭს ბუჩქებს, ერთი სიტყვით, ალამაზებს მოსკოვის კრემლის ეზოს.





ლაბორანტები ჯულიეტა ცინცაძე და ნანული დევაძე.



ინჟინერ-კონსტრუქტორი ლუბა ბუსლაევა

ფოტო გ. გერსამიასი

• • •

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა 1958 წელს შეიქმნა სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე და სამ წელს მისი ფილიალი იყო. მაგრამ, ვინაიდან სწრაფად იზრდებოდა საწარმო და ფართოვდებოდა პროდუქციის ასორტიმენტი, 1961 წლის პირველი იანვრიდან იგი უკვე დამოუკიდებელ სატრაქტორო ქარხნად მოგვევლინა.

პირველ პროდუქციას — მცირეგაბარიტიან ტრაქტორს საქართველოს მეორე დედა-მდინარის „რიონის" სახელი ეწოდა.

„რიონს" იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. ის თიბავს, ახდენს კულტივაციას, თხრის ორმოს, ფშნდს თოვლს და წარმოადგენს შესანიშნავ სატრანსპორტო საშუალებას სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადასატანად. დღეს მას საბჭოთა კავშირის ბევრ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში თუ მეწარმეობაზე შევხვდებით.

ქარხანა სერიულად უშვებს მოდერნიზებულ ტრაქტორ „ი-16 მ-მჩ-ს", რომელიც გამოიყენება ჩაის პლანტაციებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, კერძოდ, მასზე მონტაჟდება ჩაის საკრეფი მანქანები. ამ ტრაქტორით წარმოებს აგრეთვე ჩაის პლანტაციებში სასუქების შეტანა, კულტივაცია, გასხვლა და სხვა. ტრაქტორმშენებლები ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მიერ გამოშვებული ავტომანქანების კომპლექტაციისათვის სერიულად ამზადებენ უნაგირა და საყრდენ მოწყობილობებს, აგრეთვე სამთო საბრუნ გუთნებს, ეს გუთნები გამოიყენება 17 გრადუსამდე დახრილობის ფერდობზე სამუშაოდ. მასზე დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის და სხვა მთიანი რესპუბლიკების სოფლებში.

სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით იბრძვის მე-9 ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ცნობილი ტრაქტორმშენებლების გვერდით დგანან მოწინავე ქალები, რომლებსაც თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ ქარხნის საერთო მიღწევებში. ისინი აქტიურად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი და დადგნენ რა დამკვრელურ შრომით ვახტზე, ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ტრაქტორმშენებელი ქალები შრომით საქმიანობას ეწევიან ჩარხდანადგარებთან, რთულ ხელსაწყო-მექანიზმებთან. თავიანთი შრომითი საქმიანობით გამოირჩევიან საჩამომსხმელო საამქროს ზუსტი სხმულების მეყალიბეები ანიკო გელენიძე, ნარგიზა ელისაშვილი, №1 საამქროს კბილანმჭრელი ციცინო ზოსიაშვილი, მოწინავე მუშა, ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ლიანა ჯინჯოლია, ლაბორანტი ჯულიეტა ცინცაძე, ინჟინერ-ტექნოლოგები ნანული დევაძე, ნორა ახვლედიანი, ალგადამღები ნესტან ორმოცაძე.

ინჟინერ-კონსტრუქტორებმა ბელა კოლბოვსკაიამ და ლუბა ბუსლაევამ ბევრი რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს და საწარმოს ათიათასობით მანეთის ეკონომია მისცეს.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოება. გარდა ამისა, მომავალ, მეათე ხუთწლედში რესპუბლიკაში აიგება მაღალმთიანი მიწათმოქმედებისათვის საჭირო ტრაქტორებისა და მანქანების გამომშვები ქარხანა.

მანქანათმშენებლობის და ინდუსტრიული წარმოების სფეროში დაგროვილი დიდი გამოცდილების საფუძველზე მიზანშეწონილია ახალი ქარხანა აშენდეს ქუთაისში, მით უმეტეს, უახლოეს დროში ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში შეიქმნება მძლავრი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო.

გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და წყალუხვ რიონივით უხვი იქნება სოფლის მეურნეობისათვის ესოდენ საჭირო და მოხერხებული მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი" და მისი გეოგრაფიაც შესამჩნევად გაიზრდება...

გ. მეფისაშვილი,
გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორი.



# თეატრის სიყვარულით

20 წელზე მეტია ვ. გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოღვაწეობს მსახიობი ქუქუნა ჩხეიძე.

ქუქუნა ჩხეიძე ფოთის მკვიდრია. სწორედ თავის მშობლიურ ქალაქში გამოვლინდა მისი აქტიორული მონაცემები. იგი მონაწილეობდა ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში და ყოველთვის წამყვან როლებს ასრულებდა. მაყურებელს ხიბლავდა კოხტა გარეგნობის ცქრიალა გოგონა, მისი აქტიორული გარდასახვის უნარი. პატარა მსახიობის ეს წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმ დროს ფოთში მომუშავე რეჟისორებს: ვიქტორ მჭედლიძესა და ავქსენტი გამსახურდიას, რომლებმაც შემთხვევით ისარგებლეს და ჯერ კიდევ ტექნიკუმის მოსწავლეს, ფოთის სახელმწიფო თეატრში მუშაობა შესთავაზეს. ამ დღიდან ამშვენებს მისი ხალასი ნიჭი დიდი ტრადიციების მქონე ფოთის თეატრის სცენას. მსახიობმა გაამართლა კოლექტივის ნდობა, იგი მიიღო და იწამა მაყურებელმა. ეს კი ყველაზე დიდი ჯილდოა შემოქმედისათვის.

ქუქუნა ჩხეიძემ ფოთის თეატრის სცენაზე 130-მდე როლი განასახიერა, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ციცინო („ხმა გულისა“), ნათელა („თბილისელი ქალიშვილი“), ლარა („გული ხელის გულზე“), მაია („მაია წყნეთელი“), ხატია („მე ვხედავ მზეს“), მედეა („მედეა“), კაროლინა („დარისპანის გასაჭირი“), ძიძია („ხევისბერი გოჩა“), პირიმზისა და პირმთვარისა („ბაში-აჩუკი“), ნანა („ნანა“).

როლი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს და რომელსაც ხშირად იგონებს მსახიობი, იყო მისი პირველი როლი — ნათელა („თბილისელი ქალიშვილი“). ამ როლზე მუშაობისას მას განსაკუთრებული შრომა და ძიება დასჭირდა, საოცრად ღელავდა სცენაზე გამოსვლის წინ: ეს ხომ ერთგვარი გამოცდა იყო მაყურებლისა და თეატრის კოლექტივის წინაშე. მაყურებელმა კარგად მიიღო დებიუტანტი, „ფრიადზე“ შეაფასა მისი პირველი გამოსვლა, რაც მსახიობის ბუნებრივი ნიჭის აღიარებას ნიშნავდა. ამის შემდეგ ქუქუნა ჩხეიძეს თითქმის ყველა დადგმაში მთავარი როლების განსახიერებას ანდობდნენ. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია ფლორელა (ლოპე-დე-ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“). ამ როლში მსახიობმა გამოავლინა ჩინებული მუსიკალურობა, რიტმი და პლასტიკა.

100-ჯერ ითამაშა ქუქუნა ჩხეიძემ ვ. კანდელაკის პიესა „მაია წყნეთელში“. მისი მაია, ქართულ სცენაზე განსახიერებულ მაიათაგან, გამოირჩეოდა ინდივიდუალური აქტიორული გადაწყვეტით. ჩხეიძის მაია იყო გმირული სულით ანთებული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ქალიშვილი.

გრიგოლ ბერძენიშვილის პიესაში „გული ხელის გულზე“ — მსახიობმა მკვეთრი ფერებით წარმოგვიდგინა ფუქსავატი ქალი ლარა. მან ყველა შესაძლებლობა გამოიყენა იმ ქალის წარმოსახვისათვის, რომელსაც, ყოველგვარი აურზაურის გარეშე, შეუძლია ცხვირსახოცივით გამოიცვალოს ქმრები.

ვრცელია მსახიობის შემოქმედებითი დიაპაზონი. იგი ერთნაირი სიძლიერით ასრულებს, როგორც დრამატულ, ასევე კომიკურ როლებს. ამის დამადასტურებელია მის მიერ ჭეშმარიტი ტრაგიზმით განსახიერებული მედეა.

ლევან სანიკიძის „მედეამ“ წარმატებით მოიარა საქართველოს თეატრები. იგი დაიდგა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. მიუხედავად „მედეას“ ასეთი მდიდარი სცენური ტრადიციისა, ფოთის სახელმწიფო თეატრმა შეძლო შეექმნა მეტად საინტერესო და განსხვავებული სპექტაკლი. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ რამოდენიმე სეზონის მანძილზე სცენიდან არ ჩამოსულა „მედეა“, მსახიობმა გასაოცარი სიძლიერით გვიჩვენა უნაზესი სიყვარულიც და საშინელი სიძულვილიც.

ქუქუნა ჩხეიძის ოჯახი თეატრალურია. მისი მეუღლე რეზო ქინქლაძე ფოთის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია. შვილები ზაზა და გიოზი პატარაობიდანვე მონაწილეობდნენ ფოთის თეატრის სპექტაკლებში. ამჟამად ზაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია, გიოზი კი მე-5 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა.

ფოთის მაყურებელს უყვარს ნიჭიერი მსახიობი ქუქუნა ჩხეიძე, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი შემოქმედებითი გზა აქვს გასავლელი.

**ნუკრი მარგალიტაძე**



მედეა — „მედეა“



შუანეტ — „შვილი“



მაია — „მაია წყნეთელი“



ოლია ახალაძე

მეცხრე ხუთწლედში 2.600 ჰექტარზე გაშენდება თუთის პლანტაციები, ხოლო ცალკეული ნარგავის სახით ჩაიყრება 1.850 ძირი თუთის ხე.

გუგუშას ეზოში ახალი ნარგავები უკვე იწონებენ თავს. თვალისჩინივით უვლის მათ მეაბრეშუმე ქალი. ზოგმა ფოთოლი უკვე მისცა, ზოგიც მომავალში დააპურებს აბრეშუმის ჭიას. მის სახლში წელს ლასტების სიმრავლე იყო. გეგმით 56 კილოგრამი პარკი უნდა მიელო, ფაქტიურად 148 კილოგრამი მიიღო და წალენჯიხის რაიონში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ პირველი ადგილი დაიკავა.

მეაბრეშუმეობით ამაყობდა სამტრედიის რაიონი. 1967 წელს 2.570 ცენტნერი პარკი მიჰყიდეს სახელმწიფოს, რაც რესპუბლიკური მაჩვენებლების 6 პროცენტი იყო. მაგრამ გაჩნდა თუთის ხის დაავადება და ეს ციფრი 35 ცენტნერზე ჩამოვიდა. არ შეუშინდნენ დაბრკოლებას. ძველის ადგილი ახალმა პლანტაციებმა დაიჭირა, ფოთლის პირველი მოსავალიც მიიღეს და ალმავლობაც დაიწყო. თუმცა ჯერ შორსაა ძველ დონესთან, მაგრამ ბევრად მაღალია შარშანდელთან, შარშანწინდელთან.

რაიონში 5024 მეაბრეშუმე იბრძვის აბრეშუმის პარკის სიუხვისათვის, მაგრამ პირველობას არავის უთმობს საჯავახოს კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ოლია ახალაძე. იგი მეაბრეშუმეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეა და როცა მან მოისმინა მოხსენება მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივებზე, პირობა მისცა თათბირის მონაწილეებს, წარმატებით შეასრულებდა დავალებას.

შეასრულა კიდეც: 15 გრამი მურიდან 97 კილოგრამი პარკი მიიღო და პირველობა არავის დაუთმო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მ. ცოტაძე

# ტრადიცია გრძელდება

მეაბრეშუმე იყო მისი დედა და ბებია. აბრეშუმი უყვარდათ მის ოჯახში. ყოველ ზაფხულს ივსებოდა სახლი, ისმოდა აბრეშუმის ჭიის ჩუმი შრიალი, მერე კი იბმებოდა ძაფები და ფერად-ფერადი პარკებით იხუნძლებოდა ცახები.

ეზოს თუთის ხეები ერტყა გარს, მერე გახმა ერთი, მეორე, მესამე... ლასტები შეთხელდა მის სახლში, მეზობლების სახლებში... შეწუხდა გუგუშა ლემონჯავა, შეწუხდნენ ქართველი მეაბრეშუმეები. მეცნიერები შეუდგნენ ცდებს ახალი, ავადმყოფობაგამძლე თუთის ჯიშების გამოსაყვანად და დაიწყო ლაშქრობა ქართული აბრეშუმის დიდების აღსადგენად. ამ ლაშქრობის ინიციატორად ვანის, ახმეტისა და ჩხოროწყუს რაიონები გამოვიდნენ. მათ მხარი დაუჭირა მეაბრეშუმეობის ყველა რაიონმა.

— აღვადგინოთ საკვები ბაზა, მეაბრეშუმეობას დავუბრუნოთ ძველი დიდება! — აი ამ ლაშქრობის დედააზრი.

ნათუთარზე კვლავ გაშენდა თუთა.



გუგუშა ლემონჯავა

# საფო მგელაძე



წერდა ჩვენზე და ჩვენთვის.

წერდა სათუთად, დიდი მგზნებარებით.

წერდა მასზე, რაც გვაღელვებდა მისი გმირების თანატოლებს, მისი დროის ახალგაზრდობას.

ლიანა, მაგდა, მარინა, — ეს ჩვენ ვიყავით და ჩვენთან ერთად ავტორი საფო — ლიანა, საფო — მაგდა, საფო — მარინა.

ჩვენ ერთად ვილწვოდით, ვიწოდით, ვშრომობდით და ვეძიებდით, ვეძიებდით, ვეძიებდით...

თანმიმდევრობით რომ ჩავამწკრივოთ საფო მგელაძის რომანებისა და მოთხრობების გმირები, მივიღებდით ერთ დიდ პოემას, რომელსაც „ძიებას" დავარქმევდით. მთავარი გმირი იქნებოდა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც ახლახან დააღწია დილეგს თავი და მზით გაჩახჩახებულ დიდ, უკიდეგანო სამყაროში გამოვიდა. ის ჯერ სუსტია, როგორც ლოდქვეშ ამოზრდილი და მზის შუქზე ახლახან გამოღწეული ბალახის ღერო და „ქარიშხლის ფრთებზე" დარწეული, თავისი, ჯერ მოუმძლავრებელი ნაზი ფესვებით თავგანწირვით მიიკვლევს გზას ნიადაგში, ეძიებს საყრდენს.

ამ საოცრად შემძვრელ სტიქიონში ჩართულს — მას ზოგჯერ უჭირს სუნთქვა — ებერება ფილტვები და უწყდება კაპილარები, საიდანაც მოჟონავს სისხლი... მაშინ რომელიღაც „კეთილმყოფელი" გერგაძე თუ ზურაბიძე ისევ ლოდის ქვეშ, ძველი საფარისაკენ ეპატიჟება, ეპატიჟება კი არა, მიათრევს კიდეც, მაგრამ ქალს, ქარიშხალნასვამს, ძველ დილეგში აღარ ეცხოვრება, იგი სტიქიონში დაღუპვას ირჩევს და ზოგჯერ სისხლისაგან დაცლილიც კი მიიწევს ცისკენ, მზისკენ, ელტვის უმაღლესსა და უმშვენიერესს.

დიახ, ესაა კაცობრიობის განთავისუფლებული ნახევარი, რომელიც ეძებს თავის დაკარგულ ადგილს ცხოვრებაში, თავის მოწოდებას. განახლებული ცხოვრების პირმშო — ახალი ქალი საქმეშიც, მეგობრობაშიც, სიყვარულშიც უანგაროა და უკომპრომისო.

საფო მგელაძის ლიანას, მაგდას თუ მარინას აღარ ძალუძთ იყვნენ ვისიმე მდაბალი ვნებების მონა, ვისიმე უტყვი საკუთრება, ვისიმე ცხოვრების მხოლოდ თანამგზავრი. ისინი თვით არიან მგზავრები, ჰარმონიული, თავისთავადი პიროვნებანი, რომლებიც მამაკაცშიც ეძებენ ამ ჰარმონიას, ეძებენ მეგობარს, ელტვიან სიყვარულს — ერთადერთს, ძლიერს, მშვენიერს, ამაღლებულსა და ამამაღლებელს.

ეს იყო ნიჭიერი მწერლის თვალით დანახული ახალი ადამიანის ბრძოლა სრულყოფილი ბედნიერებისათვის. სამწუხაროდ, მწერალ ქალს არ დასცალდა ეჩვენებია თავისი გმირები ზრდადასრულებულნი. იგი მხოლოდ თავის თანატოლებზე წერდა და მწერლის ახალგაზრდა სიცოცხლესთან ერთად შეწყდა მისი ლიტერატურული გმირების ზრდის პროცესიც.

საფო მგელაძე 1894 წელს დაიბადა. დიდ გარდატეხათა ქარიშხლის მოლოდინით, რევოლუციისათვის ბრძოლით აფორიაქებულ სამყაროში აიდგა ფეხი და ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოსთან ერთად დაყმაწვილდა. მისი პირველი ლექსი 1908 წელს დაისტამბა. მას მოჰყვა ლექსები, მოთხრობები, რომანები — ავტორისა და მისი მკითხველების ბიოგრაფიული რომანები: „ლიანა ლორდია", „ქარიშხლის ფრთებზე", „გზადაგზა", ახალი ქალის ცხოვრების ამბავი, მართალი და ამაღელვებელი.

განსაკუთრებულ ვარსკვლავზე მაინც ლიანა ლორდია გაჩნდა. იგი მკითხველმა თავის განუშორებელ უბის წიგნად აქცია. „გაზაფხულია, სიჭაბუკის გაზაფხულია, ახალგაზრდა ძარღვებში მაჭარივით დუღს ჭაბუკური სისხლი, დუღს და გადმოდუღს ფანტასტიკურ შადრევანივით.

...თქვენი „ლიანა" უბით დამაქვს ხოლმე, სულიერი ტკივილების დროს მამხნევებს იგი, ყრმობის გრძნობებს მიასკეცებს. ამ წინააღმდეგობით დახლართული სიყვარულის წიგნში, რომელიც შეგეძლოთ თქვენ მეტი დამაჯერებლობით მოგეცათ, გრძნობათა კოშკებია ნაშენი, გრძნობათა კოშკები, რომლითაც ვაფასებ მე თქვენს ლიანას. როგორი დამაჯერებელი და დამათრობელი არიან ეს გრძნობები, სწორედ ამ გრძნობებში გაიმარჯვეთ თქვენც, ძვირფასო მეგობარო, სწორედ ამ გრძნობათა სილამაზისათვის მიყვარს მე ქართულ ნაწერებში თქვენი „ლიანა ლორდია". სწორედ ამისთვის ვკითხულობთ და ვაღმერთებთ მე და ჩემი მეგობრები მას", — წერდა საფოს ახალგაზრდა პოეტი ლადო ასათიანი.

ასე ვაღმერთებდით, ასე გვიყვარდა, ასე გვაღელვებდა და ზოგჯერ ხელიდან ხელში ხელნაწერის სახით გადადიოდა „ლიანა ლორდია".

საფო შემოქმედებით სიმწიფეში შესული, 1936 წელს გარდაიცვალა.

ბევრს გვპირდებოდა, მაგრამ აღარ დასცალდა...

ახლა საფო 80 წლისა იქნებოდა. და მადლიერი მკითხველი სიყვარულითა და პატივისცემით უხდის საყვარელ მწერალ ქალს დაბადების დღეს. იგი თავის ახალგაზრდა გმირებთან ერთად ესწრება ამ ზეიმს: საფო — ლიანა, საფო — მაგდა, საფო — მარინა.

ტყუილად არ დამშვრალა მწერლის შრომა, ძიება...

ათასობით ლიანა, მაგდა, მარინა, დაქალებული, მომძლავრებული, თავისთავში დაჯერებული, მტკიცედ დგას ცხოვრების საჭესთან.

გეზი?

სადგური „ბედნიერება"...

**მარიკა ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზეთის რედაქტორი ი. ცერცვაძე, კ. კურცხალია და პოეტი ლადო ასათიანი.

# „ნორჩი ლენინელი“ — 50 წლისაა

ნორჩი ლენინელი
НОРЧИ ЛЕНИНЕЛИ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ორგანოს — გაზეთ „ნორჩ ლენინელს“ დაარსების 50 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს ქალის“ კორესპონდენტმა **ნანული ბუკიამ** ინტერვიუ სთხოვა „ნორჩი ლენინელის რედაქტორს — **ივანე ცერცვაძეს.**

**კ ი თ ხ ვ ა:** პატივცემულო ვანო, როგორც ვიცი თქვენ ამ გაზეთის ამაგდარი ბრძანდებით, — აგერ ოცდაერთი წელია რედაქტორობთ, ეს საკმაოდ დიდი დროა, იმისათვის, რომ „ნორჩი ლენინელის“ მემატიანეც გეწოდოთ. მით უმეტეს, რომ ამავე გაზეთში ადრეც დიდხანს მუშაობდით სხვადასხვა თანამდებობებზე. გთხოვთ გაზეთის ისტორიის მცირე მიმოხილვა გაგვაცნოთ.

**პ ა ს უ ხ ი:** გაზეთის პირველი ნომერი ჩვენმა პატარა მკითხველმა 1924 წლის პირველ ოქტომბერს მიიღო. მაშინ მას „ახალგაზრდა პიონერი“ ერქვა და ახლანდელი „ახალგაზრდა კომუნისტის“ წინამორბედის — „სპარტაკის“ ბაზაზე გამოდიოდა. ერთი წლის შემდეგ გაზეთს „ნორჩი პიონერი“ ეწოდა, მას შალვა რადიანი რედაქტორობდა. შემდეგ სათავეში ელიზბარ ზედგინიძე ჩაუდგა, ხოლო დღევანდელი სახელწოდება გაზეთმა 1931 წელს დაიმკვიდრა. გაზეთის გამოსვლა, გარკვეული მიზეზების გამო, რამოდენიმე წლით შეწყდა. იგი 1946 წელს განახლდა. გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ: მარგო თომაძე, ლეო წერეთელი, თინათინ გელიაშვილი, გერასიმე ფირცხალავა, ელენე აგლაძე.

**კ ი თ ხ ვ ა:** „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია ყოველთვის იზიდავს ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ხშირად აწვდის ნორჩ მკითხველებს ჩვენი მწერლების მოთხრობებს, ლექსებს. ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე გამოამზეურა პირველად თავისი შემოქმედება. გთხოვთ მათ შესახებაც მოგვითხროთ რაიმე.

**პ ა ს უ ხ ი:** არა მარტო იზიდავდა, არამედ ზოგიერთი მათგანი აქ მუშაობდა კიდეც. ჩვენი გაზეთის მუშაკები იყვნენ დღევანდელი ცნობილი მწერლები და პოეტები: ლადო ასათიანი, რევაზ მარგიანი, ვახტანგ ჭელიძე, მურმან ლებანიძე, კლავდია დევდარიანი, ქეთევან ჭილაშვილი, ელენე დიდიმამიშვილი, მზია ჩხეტიანი... მათ შორის, განსაკუთრებული სიყვარულით მინდა მოვიგონო ლადო ასათიანი, ჩვენი ლადო, ახალგაზრდა პოეტების გზის გამკაფავი და მაჩვენებელი. პოეტები მუდამ ეხვია გარს. განსაკუთრებით დამწყებ პოეტებს არ აკლებდა ყურადღებასა და მზრუნველ ხელს. მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ: მურმან ლებანიძე, ვახტანგ გორგანელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მათი პირველი ლექსები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაისტამბა ლადოს უშუალო მონაწილეობითა და ინიციატივით.

ლადო ძალზე საინტერესო პიროვნება იყო, იმ დროიდან შემომრჩა ლადოსთან გადაღებული ფოტო, რომელსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები. მაშინ სულ ახალგაზრდები ვიყავით მეც და ლადოც, როცა ეს სურათი გადავიღეთ.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, ლადომ დახედა, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და ღიმილნარევი კილოთი მითხრა: — ვანო ცერცვაძე, რას მოესწარი?

— რას მოვესწარი? — დავუბრუნე შეკითხვა.

— გავა დრო და ამ სურათს მუზეუმში დაკიდებენ... — მაშინ ლადომ რა თქმა უნდა იხუმრა, მაგრამ როგორ ახდა ეს სიტყვები! ახლახან ეს სურათი საქართველოს სსრ ლიტერატურის მუზეუმმა მთხოვა.

**კ ი თ ხ ვ ა:** კიდევ რომელ მწერლებს დაულოცა გზა „ნორჩმა ლენინელმა“?

**პ ა ს უ ხ ი:** „ნორჩი ლენინელი“ სამართლიანად ამაყობს, რომ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ბევრი ცნობილი პოეტის პირველი ლექსი. საბავშვო ლექსების საუკეთესო ნაწილი ლადო ასათიანმა სწორედ ჩვენს გაზეთში დასტამბა, ესენია: „ალისფერი ყელსახვევი“, „ლალის მამალი“, „გეორგ ვივოს“ (ესპანელ ევაკუირებულ ბავშვს). ჩვენთან

დაისტამბა აგრეთვე ხუტა ბერულავას, იოსებ ნონეშვილის, ოტია იოსელიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, შოთა როყვას, ალექსანდრე სამსონიას, ვახტანგ ჯავახაძისა და სხვათა ნაწარმოებები.

**კ ი თ ხ ვ ა:** ბევრი რამ გვსმენია პიონერულ ქალაქ „მზიანეთზეც". ცოტა ახალგაზრდა პიონერებმა ამ საინტერესო ქალაქის შესახებ ნაკლებად იციან. „ნორჩი ლენინელი" „მზიანეთის" ერთ-ერთი ინიციატორი იყო. იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი მოგონება მის შესახებ?

**პ ა ს უ ხ ი:** „მზიანეთი" მართლაც დაუვიწყარია ჩემს მეხსიერებაში. 50-იან წლებში საკავშირო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შემოიღო ე. წ. პიონერული საფეხურები. თითოეული საფეხური ამა თუ იმ საკითხის გარკვეულ ცოდნას მოითხოვდა. რაც მაღლა-მაღლა იწევდა საფეხურები, იზრდებოდა თითოეული პიონერის ცოდნის დონეც. და სწორედ ამ საფეხურების დაუფლების მიზნით, მოვიგონეთ ასეთი რამ — „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს". პიონერები ქალაქს აშენებდნენ ოცნებით, ფანტაზიით. რესპუბლიკის თითქმის ყველა სკოლასთან შეიქმნა საამშენებლო ბრიგადები. აკეთებდნენ კარგ, საინტერესო საქმეებს. წარმოდგენაში კი შენდებოდა ქალაქი, სადღაც შორს... გამარჯვებულებს ვუგზავნიდით ვარსკვლავებს, ვინც მეტ ვარსკვლავს დააგროვებდა, ნამდვილი ქალაქის აშენებაშიც ის მიიღებდა მონაწილეობას.

გამოვაცხადეთ კონკურსი ქალაქის სახელწოდებაზე, ქალაქის ემბლემაზე და ქალაქის გეგმაზე.

ჟიურიმ გამარჯვებულად ხაშურელი პიონერები სცნო, ქალაქს მათი წინადადებით „მზიანეთი" ეწოდა.

ბორჯომის ხეობაში, ახალდაბის მახლობლად, მდინარე მტკვრის ნაპირას 500-მა გამარჯვებულმა პიონერმა დაიწყო ქალაქის შენება. ბავშვებმა ჩამოიყვანეს თავიანთი გამოზრდილი ფრინველები და ცხოველები ზოოპარკის მოსაწყობად, ნაკეთობები — მუზეუმის შესაქმნელად. გაშალეს კარვები, გაიყვანეს ქუჩები, მოაწყვეს სტადიონი, პიონერული თეატრი, სასადილო, რადიორედაქცია, გამოდიოდა გაზეთი „მზიანეთი".

ქალაქს ჰქონდა თავისი ჰიმნი „მზიანეთი" (ამ ჰიმნს დღესაც მღერიან ჩვენი პატარები), ტექსტი დაწერა მწერალმა მაყვალა მრევლიშვილმა, მუსიკა — მერი დავითაშვილმა. „მზიანეთის" ყოველი პიონერული დღე ამ სიმღერით იწყებოდა და მთავრდებოდა. უამრავი დელეგაცია ეწვია იმ დღეებში „მზიანეთს", მისაბაძად და სამაგალითოდ აღინიშნა ეს საინტერესო თამაშობა.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს ბიურომ მოისმინა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორის მოხსენება „მზიანეთზე" გაწეული მუშაობის შესახებ და ამ საქმიან თამაშს მაღალი შეფასება მისცა. იგი დაეგზავნა რესპუბლიკურ, საოლქო, სამხარეო, პიონერულ საბჭოებსა და საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს, გამოცხადდა, როგორც მისაბაძი მაგალითი.

**კ ი თ ხ ვ ა:** „ნორჩ ლენინელს" ყოველთვის ჰყავს თავისი ბავშვკორები. ასე იყო ალბათ ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე. ვინ იყვნენ თქვენი საუკეთესო ნორჩი კორესპონდენტები, საზოგადოებრიობის, მშენებლობის რომელ ფრონტზე დგანან ისინი დღეს?

**პ ა ს უ ხ ი:** გულახდილად რომ გითხრათ, ყველა არ მაგონდება. მახსოვს ზოგიერთი მათგანი: ნიკოლოზ ჯაში, გურამ გოგიაშვილი, ოთარ იოსელიანი, შალვა ყარყარაშვილი, შოთა გაგოშიძე, რევაზ თაბუკაშვილი, მედეა კანდელაკი, ლამარა ჩოჩია, ოთარ ცანავა.. დღეს ისინი პირნათლად ემსახურებიან სამშობლოს.

**კ ი თ ხ ვ ა:** ახლა, ყველაზე უმთავრესი — „ნორჩი ლენინელის" მიზნის, მოწოდების შესახებ.

**პ ა ს უ ხ ი:** გაზეთი ემსახურება პიონერებს, პიონერულ ასაკს. მაგრამ არც ოქტომბრელებს ვივიწყებთ, მათთვის გვაქვს განყოფილება „წყარო", ხოლო უფროსკლასელთათვის სადისკუსიო კლუბი — „ფიქრის გორა", ამ განყოფილებაში სჯა-ბაასია მორალის საკითხებზე, პროფესიის დაუფლებაზე. გვაქვს სხვა განყოფილებებიც: „დედა ენა", რომელსაც პროფესორი გიორგი შალამბერიძე ხელმძღვანელობს, „რუსული ენის კაბინეტი", „აჩუქე ადამიანებს სიხარული" — აქ ლაპარაკია, თუ როგორ ეხმარებიან პიონერები მოხუცებს, ჯარისკაცების ოჯახებს, პენსიონერებს... ამხელენ ნაკლოვანებებს. პატარები თვითონ უნდა მიეჩვიონ ნაკლოვანებების მხილებას, მათთან ბრძოლას. ხელოვნების ნორჩ მოყვარულთა კლუბში — „ლილე" — სისტემატურად იბეჭდება წერილები მუსიკაზე, მხატვრობაზე, ბალეტზე, კინოზე, თეატრზე... ნორჩებს ყველაზე მეტად აინტერესებთ განყოფილება — „თამაშის, გართობის, დასვენების მოთავეთა დაუსწრებელი სკოლა", რომელშიც იბეჭდება თამაშობები, ატრაქციონები, ვიქტორინები, რებუსები, ამოცანები...

**კ ი თ ხ ვ ა:** თქვენ, თავად, როგორც რედაქტორი, როგორც ჟურნალისტი, როგორც კომუნისტი — რას ისურვებდით თქვენი გაზეთისთვის?

**პ ა ს უ ხ ი:** ერთად ერთი, რაც მთელი წლების მანძილზე მაფიქრებს და მაღელვებს, ეს არის გაზეთის პერიოდულობის გაზრდა — ჯერჯერობით „ნორჩი ლენინელი" კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდის.

ყველაზე დიდი სურვილი კი ისაა — აღვუზარდოთ ჩვენს საბჭოთა სამშობლოს მაღალი მორალის, მაღალი პრინციპისა და იდეების მატარებელი თაობები.

* * *

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი, მისი სარედაქციო კოლეგია და მრავალრიცხოვანი მკითხველი გულითადად ულოცავს პიონერულ გაზეთს ამ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს.

## შემოდგომისას

ზაფხული სადღაც ჩუმად წავიდა
მაშვრალ დღეების ბრუნვა-თამაშით.
და ახლა, ნადის ნაცვლად ქარი და
ოცნება მღერის ბაბუს ყანაში.
მშვიდობა თქვენდა ჩემო კვარჯლალო
და გურძემიის ნაზო შრიალო,
ტეხურო, ლტოლვის ლურჯო ზღაპარო,
დაუოკარო მანგო ხმიანო.
ჩემს ფანჯარასთან ქარი შრიალებს
და ცაცხვის ტოტებს სარკმელს მიახლის,
ბავშვად მხდის ეს ცა, ცა გამჭვირვალე
ისე სავსეა ძველი სიახლით.
აგუზგუზებულ კერიის ახლო
მამაპაპეულ ჯორკოზე ვზივარ...
ტკაც! ტკუც! — ტკაცუნობს ლადარში ტარო,
წკაპ! წკუპ! — წკაპუნობს ყავარზე წვიმა.
რაზე ჩურჩულებს პატარა ცაცხვი,
ნათელ ხსოვნასთან განუყოფელი?
სადღაც სხვა ცაცხვიც შრიალებს ასე,
უსმენს სხვა ბავშვი და სხვა სოფელი.

რამაზ ბარკალაია

## პატარებისათვის

იმერი ხარაძე

### ბუს ბარტყები

ბუს ბარტყები საიდუმლოს
ჩურჩულებდნენ ბუდის წინა,
თან ფრთებს თავზე იფარებდნენ —
მოდიოდა თავსხმა წვიმა...
— გუშინ ზოოპარკში ვიყავ...
— მე კი გუშინ წინის წინა!..
— ლაპარაკი დამაცალე,
ხომ არა ხარ პაწაწინა?!..

### მამას თუ გამოემსგავსე

ჩემო პატარა მელაო,
კუდი რამ დაგიგრძელაო?
მამას თუ გამოემსგავსე,
ხომ შეგიძულებს ყველაო?!.

ჯანიკო გაგუნია

### დაუფიქრდი

მხოლოდ ის მიხვდება,
ვინც მე კარგად მისმენს:
ეს, რამდენი ვაშლი,
მოუსხია მსხლის ხეს?
ვისაც უნდა ვაშლი,
შაქარივით ტკბილი,
დაუფიქრდეს, მითხრას
რა ვთქვი ლექსში ტყუილი?

### ყანაში

ასე ვიდგე და გიცქირო
როგორ ბარავ, როგორ თოხნი?
მე თუკი ვარ ციცქნა ბიჭი,
იყიდება ციცქნა თოხიც!
— „შრომა შვენის ადამიანს"
ბაბუ, წუხელ ასე ხომ თქვი?

# იუგოსლავიის პოეტი ქალები

### იოვანკა ხრვაჩანინი

* * *

უჩვეულო
არაფერი არ ყოფილა,
მარტო ვიყავ
ბალახებში ჩამხობილი,
უცნაური
არაფერი არ ყოფილა,
ზეცა იყო,
მზით შუაზე
გაპობილი.
გალიმებამ,
ერთმა მცირე
გალიმებამ
სულში უხვად
ჩამიღვარა გაზაფხული.
იმედები მომცა
ქვეყნის სადირალი,
ამიყვავა ოცნებების
გაზაფხული!

### ბედნიერება

უბით ვატარებ ჩუმად
ბედნიერებას ჩემს წილს,
ხან ოცნებებში ვცურავ,
ხან გული
სევდით მეწვის.
მზეს მოვიხელთებ თუ კი
დამდის სხივების წვიმად,
ხან თვალს აკლდება შუქი,
ხან სიხარულით ვბრწყინავ.
ჩემზე ამბობენ, თითქოს,
დარდი ოცნებებს მიქრობს,
დღემდე არ იცის ვინაც
ვიყავ მფლობელი რისი,
გული ფხიზლობს
თუ სძინავს,
მან არაფერი იცის.

### ვესნა პარუნი

* * *

მე მიყვარს შენი
ჭრელ-ჭრულა ბაღი,
ლეგა ღრუბლები,
ლაჟვარდი ლურჯი,
ბალახის სუნთქვა,
ნიავი ლაღი,
ცა მოჩითული
ჯადოქრის ფუნჯით.
შევხარი თრთოლვით
მზეს ოქროცურვილს,
შევხარი ხეებს,
სიმწიფით დახრილს,
მოაქვთ ირნჯა,
ბალახი ცურით
სამოვრებიდან
მოდენილ ნახირს.

მე მიყვარს როცა
ჩანჩქერი რისხვით
მოქუხს, ილვრება
ჩქერების ვერცხლად.
მზადა ვარ
ჩემი ლამაზი მიწის
ტკბილი და მწარე
სამსალა შევსვა.
სამშობლო მიწავ,
დედაო ჩემო,
ფიქრებს, ოცნებებს
სიმღერად ვართავ.
მე ვენაცვალე
ხის უოველ ჩეროს
და ცურებივით
დატენილ თავთავს!

### მე ვლოცავ იმ დღეს

რადგან
ბუნების სახეცვლილება
ადამიანის ხელმა ინება,
მე ვლოცავ
იმ დღეს,
იმ კეთილ სიზმრებს,
კაცის სიზმარი
ახდება როცა.
იმ დღეს ვადიდებ
წარსულს,
აწინდელს —
ვინც სიყვარულით
გული დაწინდეთ.
ის დღე იქნება
ყველაზე დიდი —
როცა ბუდეში
გაჩნდება ჩიტი.
ვადიდებ
იმ დღეს,
იმ კეთილ მიზნებს,
როცა მებაღე
აიხდენს სიზმრებს,
მე ვლოცავ
იმ დღეს,
იმ კეთილ ბოლოს,
ქვეყნიერების
ბატონ-პატრონი
თუ სიყვარული
იქნება მხოლოდ!

თარგმნა მედეა კახიძემ

# კაპიტალის სამყაროში

## დედამ თავშესაფრიდან შვილი გაიტაცა

თექვსმეტი წლისა ძლივს იყო ომბრეტა ვოლპე, ბავშვი რომ შეეძინა. ბედნიერად გრძნობდა თავს საყვარელ ქმართან, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ბედნიერება. მალე უმუშევარი დარჩა. ქმარმა მაშინვე მიატოვა და შეძლებული საცოლის ძებნა დაიწყო. დარჩა ახალგაზრდა დედა, თითქმის გოგონა, ბავშვით ხელში — უმუშევარი, მიუსაფარი, უსახსროდ. მალე ქირის გადახდაც ვერ შეძლო იმ ბინისა, რომელიც გარდერობს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოთახს.

ახალშობილს კი ათასი რამ სჭირდებოდა. ყოველდღე ეძებდა სამუშაოს. ყველგან ჰპირდებოდნენ, მაგრამ სამსახური ვერა და ვერ იშოვნა. ბოლოს იძულებული გახდა „უძველესი ხელობისათვის" მოეკიდა ხელი და ამით ერჩინა თავი და ბავშვი, რომელზეც მზე ამოდიოდა. ეს ბავშვი იყო მისი ერთადერთი სიხარული. მაგრამ ბოროტმა ენებმა არ მოასვენეს ომბრეტა, ანონიმური წერილებით აიკლეს სასამართლო. წერდნენ, იგი სახლში იღებს მამაკაცებს და პატარა გოგონა ყველა სისაძაგლის მოწმეაო. ამის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა მისთვის შვილი წაერთმიათ და თავშესაფარში ჩაებარებინათ.

როცა პოლიციიდან ბავშვის წასაყვანად მივიდნენ, დედა მათ მუხლებში ჩაუვარდა, ევედრებოდა — დაეტოვებინათ მისთვის შვილი, რომელსაც თვითონ კარგად უვლიდა. არწმუნებდა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერებოდა, რომ აშკარა ცილისწამება იყო, თითქოს მამაკაცებს სახლში იღებდა, ან კი როგორ უნდა მიეღო გარდეორობის ოდენა ოთახში? თუმცა ამნაირ ცხოვრებას არ უარყოფდა. თავს იცავდა — დუხჭირმა ცხოვრებამ მაიძულა ამ გზას დავდგომოდიო. სამსახური მიშოვეთ და დღესვე მივატოვებ ამ ხელობასო. მაგრამ მისი მუდარა არავინ შეისმინა. ბავშვი წაიყვანეს და აცელიოს ქუჩაზე მდებარე უპატრონო ბავშვთა სახლში მოათავსეს.

ერთი კვირა გავიდა ამ თავზარდამცემი ამბიდან. დედა ტიროდა, ყველას ემუდარებოდა, დაებრუნებინათ შვილი. მან სასამართლოში დამცველიც აიყვანა. ომბრეტას ხომ შვილის გარეშე ერთი საათიც არ გაუტარებია. პატარა სიმონა უკვე ნ წლისა იყო, ბოლოს ნება დართეს ბავშვის ნახვისა.

არ შეიძლება ადამიანს აუღელვებლად ეყურებინა დედა-შვილის შეხვედრის სცენისათვის. ახალგაზრდა დედა გიჟივით იკრავდა შვილს გულში, შვილიც ცრემლებს ღვრიდა და დედას შინ წაყვანას თხოვდა. დედას უცებ რაღაც აზრმა გაუელვა. ირგვლივ არავინ იყო. ომბრეტამ შვილს ხელი ჩაავლო და მეხუთე სართულიდან დიდი სიფრთხილით ჩამოიყვანა. არც აქ ჭაჭანებდა არავინ. უნ-

დოდა ეზოდან გამოსულიყო, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდა. ბოლოს ცენტრალური შესასვლელისაკენ გაეშურა. იქ შვეიცარს ტკბილად ჩასძინებოდა. დედამ კარი ფრთხილად გააღო და ბავშვთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

აქ იკარგება მათი კვალი. პოლიციამ ძებნა გამოაცხადა, მაგრამ ამაოდ. ამ ამბის თაობაზე აჭრელდა ჟურნალ-გაზეთები. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთი „პაეზე სერას“ რედაქციის ქრონიკის განყოფილებაში ტელეფონმა დარეკა: მე გავიტაცე ჩემი შვილი, დღეის შემდეგ ვერავითარი ძალა ვერ დამაცილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს მოვიკლავო, — სთქვა ომბრეტა ვოლპემ და გაუჩინარდა. პოლიცია ეძებს, მაგრამ უშედეგოდ. დედა-შვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

იტალიურიდან თარგმნა ზაირა სტურუამ

## როცა ციხე სჯობს თავისუფლებას

აიოვას შტატის გუბერნატორი რობერტ რეი მიჩვეული იყო ათასგვარ თხოვნას. მაგრამ ამჯერად თხოვნა მართლაც უნიკალური გამოდგა. პატიმარმა ბობი ფერგუსონმა, რომელსაც აიოვას შტატის ციხეში ყოფნის რამდენიმე დღე დარჩენოდა, შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა გუბერნატორს: „მე იმიტომ გწერთ, რომ გითხრათ: მინდა სამუდამოდ დავრჩე ციხეში. მე არც მეგობრები მყავს, არც ოჯახი, არც სპეციალობა მაქვს. ქურდობა და ხალხის ძარცვა აღარ მსურს. ჰოდა, გთხოვთ, დამეხმაროთ, რომ სიცოცხლის ბოლომდე ციხეში დამტოვონ. მადლიერი ბობი“.

ყველა, ვინც კი ბობის ცხოვრების ისტორიას გაიგებს, დაგვეთანხმება, რომ ციხე ბობისათვის მართლაც მშობლიურ კერად იქცა. თავისი ცხოვრების 39 წელი ფერგუსონმა თითქმის სულ ციხეში გაატარა. დაიბადა ქალთა გამასწორებელ სახლში. დაბადების შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა, სადაც თითქმის 14 წლის განმავლობაში იმყოფებოდა, გარდა იმ რამდენიმე თვისა, როცა ბებიასთან და ბაბუასთან სტუმრობდა. 16-დან 19 წლამდე რამოდენიმეჯერ მოხვდა გამასწორებელ სახლებში. მისთვის სამყარო იმდენად მკაცრი და უსამართლო აღმოჩნდა, მტკიცედ გადაწყვიტა სამუდამოდ დარჩენილიყო ციხეში.

როგორც კი პატიმრობის ვადა დაუმთავრდებოდა, ბობი ცდილობდა კვლავ დაერღვია წესრიგი—ხეტიალობდა, ქურდობდა. თუ პოლიციელები დიდხანს ვერ აწყდებოდნენ მის კვალს, იგი თვითონ ცხადდებოდა პოლიციაში. სასამართლოს გამოჰქონდა განაჩენი: — პატიმრობა.

„ბობის შემთხვევა უკიდურესია. მაგრამ ყველა ციხეში შეიძლება ნახო მსგავსი ბიოგრაფიის ადამიანი“, — ამბობს ლ. ბრეუერი, ფორტ მედისონის ციხის ზედამხედველი, სადაც ამჟამად ფერგუსონი იმყოფება.

„ტაიმი“,
ნიუ-იორკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთ ჭიქაზე

ქმრის გალანტური მოვალეობაა:

მიაწოდოს ცოლს ლაბადა, შინ იქნება ეს თუ გარეთ;

კითხვა მაშინ ნუ მოუნდება, როცა ოჯახი სუფრას უზის;

მეჯლისზე პირველად ცოლს ეცეკვოს, გამონაკლისი განსაკუთრებულ შემთხვევაშია დასაშვები.

ყოველთვის შენიშნოს ცოლის ახალი კაბა და სასიამოვნო რამ უთხრას ამის გამო. საერთოდ, ეცადოს, ხშირად უთხრას ცოლს ქათინაური.

კარში პირველად ცოლი გაატაროს;

ხშირად მიართვას საჩუქარი, ზოგჯერ საბაბის გარეშეც, ხანდახან — ყვავილიც.

ნუ ჩააშტერდება სხვა ქალს ცოლის თანდასწრებით;

ნურასოდეს გამოიყენებს არგუმენტს „გარჩენთ და ვთხოულობ კიდეც“.

როცა სამსახურში კი არა, სხვაგან მიბრძანდება, გაკვრით მაინც თქვას საით მიეშურება.

ჰკითხოს ხოლმე ზოგჯერ ცოლს, წასული რომ ვიყავი, უჩემოდ რას აკეთებდით. და, საერთოდ, „საქმის გადაწყვეტის“ გარდა, სხვა რამეზედაც ესაუბროს.

ცოლის გალანტური მოვალეობაა:

ჩაცმა-დახურვისას მარტო მეგობარი ქალების კი არა, ქმრის გემოვნებაც გაითვალისწინოს;

სადილად მისი საყვარელი კერძი მოამზადოს; ნუ წაართმევს ქმარს მისთვის „წმიდათა-წმიდა“ საგნებს; ნებართვის გარეშე ნუ იხმარს საპარსავ მანქანას და ნუ „შეინახავს“ მას ყუთში;

წარბიც არ შეიხაროს იმ ამბების გაგონებისას, რომლებიც მან ზეპირად იცის და რომლებსაც ქმარი ახლა საზოგადოებაში ჰყვება; არ შეაწყვეტინოს ანეგდოტი წამოძახილით: „კარგი ერთი, ეგ ხომ ყველამ იცის“;

ნუ შეხედავს აგდებული თვალით მის კომპეტენტურობას სასაუბრო საგნის მიმართ;

ქმარმა რომ თავი სასაცილოდ არ იგრძნოს, ნუ მიმართავს მას ხალხში ინტიმური მეტსახელით.

ნურასოდეს გააკრიტიკებს შვილების თანდასწრებით და საერთოდ, ეცადოს, რაც შეიძლება იშვიათად გააკრიტიკოს იგი; ახლობელი ქალისაგან მამაკაცი, უწინარეს ყოვლისა, მხარდაჭერას მოელის.

ნუ ამოუქოთებს ჩანთას, ნუ გააკონტროლებს. ახლობელი ადამიანის გაკონტროლება, უბრალოდ შეურაცხმყოფელია;

ნუ დაუშლის ქმარს დედასთან ახლო ურთიერთობას;

დრო და დრო ქათინაურიც უთხრას;

ნუ მოიწვევს სტუმრად მათ, ვინც ქმარს არ სიამოვნებს, ასეთებისაგან ნურც თვითონ მიიღებს მოწვევას;

თუ ქალი მეორედაა გათხოვილი თავს ნუ შეაწყენს პირველი ქმრის ღირსებებზე ლაპარაკით.

იან კამიჩკის წიგნიდან „ყოველდღიური თავაზიანობა“.
პოლონურიდან თარგმნა,
ა. გერშტენზლიტმა.

## უცხოური იუმორი

ერთხელ, დამღალავი კონგრესის შემდეგ, რობერტ კოხი თავის კოლეგასთან ერთად ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში სეირნობდა. ერთმა ლამაზმანმა გვერდით ჩაუარათ.

კოხი თავაზიანად მიესალმა, ქალმა კი ცივად დაუქნია თავი.

— ვინ არის ეგ კუდაბზიკა? — ჰკითხა კოხს გაკვირვებულმა კოლეგამ.

— დირექტორ გუტვაიზერის მეუღლეა. რამდენიმე კვირის წინ, მაგისი ქმარი მძიმე ავადმყოფი იყო და მე ვმკურნალობდი, — უპასუხა კოხმა.

— ა, მესმის. გარდაიცვალა საცოდავი?

— პირიქით, განიკურნა! —გაეღიმა კოხს.

* * *

— რად გინდა თუთიყუშს რომ ყიდულობ?

— წიგნში წავიკითხე — ეგ ფრინველი ორასი წელი ცოცხლობსო, ჰოდა, მინდა ერთი ვნახო, მართალია თუ არა რასაც წიგნში წერენ.

### მამობრივი რჩევა

მარკ ტვენს ერთი ახალგაზრდა კაცი თავისი მშობლების უვიცობას შესჩიოდა.

— მოთმინება იქონიეთ,— უპასუხა დიდმა იუმორისტმა, — მე რომ თოთხმეტი წლისა ვიყავი, მამაჩემი ისეთი სულელი მეჩვენებოდა, რომ ძლივს ვუძლებდი. ოცდაერთი წლისას კი, ის ვერ გამეგო, — როგორ შეეძლო ამ მოხუცს შვიდ წელიწადში ამდენი რაშის სწავლა.

* * *

— წერილი ნორმაზე მძიმეა, ერთი მარკა კიდევ დააკარით.

— კი მაგრამ, განა უფრო მეტად არ დამძიმდება?

* * *

— მეეტლევ, ნუთუ არ შეგიძლია უფრო ჩქარა წახვიდე?

— მე კი შემიძლია, მაგრამ ცხენებს ხომ არ მივატოვებ?

* * *

**ავადმყოფი:** ბატონო ექიმო, ვგრძნობ, რომ ავადა ვარ.

**ექიმი:** გაწუხებთ რამე?

**ავადმყოფი:** არა.

**ექიმი:** მადა როგორი გაქვთ?

**ავადმყოფი:** ო, უმადობას არ ვუჩივი.

**ექიმი** — ძილი როგორილა გაქვთ?

**ავადმყოფი:** არც უძილობას ვემდური.

**ექიმი:** მაშ ნუ გეშინიათ, ისეთ წამალს გამოგიწერთ, რომ ორ დღეში ეგ ყველაფერი გაგივლით.

გერმანულიდან თარგმნა დალი ბუჩუკურმა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ბავშვებში

დაახლოებით ორი-სამი ათეული წლის წინათ ფიქრობდნენ, რომ ბავშვებს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული არ უვითარდებათ, ან ამ ასაკში ეს დაავადება ზედმიწევნით იშვიათია. ექიმები იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ ამ მცდარ შეხედულებაში, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლინების დროსაც კი ვერ ადგენდნენ ამ დაავადებას.

შემდეგ დიაგნოსტიკური მეთოდების გაუმჯობესებამ განაპირობა ამ დაავადების დროულად ამოცნობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დასაწყის სტადიაში ამოცნობას. ვიდრე წყლული ახალია, კუჭში არ არის განვითარებული ღრმა ცვლილებები, შესაფერისი მკურნალობით შეიძლება წყლულის შეხორცება.

წყლულოვანი დაავადება ბავშვებში ძირითადად ისევე მიმდინარეობს, როგორც მოზრდილებში: დამახასიათებელია ტკივილი კუჭის არეში, რაც დაკავშირებულია ჭამასთან; ტკივილი იწყება საკვების მიღებიდან 1-2 საათის შემდეგ და, ზოგჯერ, პირღებინებამდე არ წყდება. მეტ შემთხვევაში ტკივილი ყუჩდება თავისთავად ან ტუტეხსნარების მიღების შედეგად (სოდა, ბორჯომი), ზოგჯერ ტკივილს აყუჩებს პირღებინება, რომელსაც ავადმყოფი თავად იწვევს ხელოვნურად. ხშირად ბავშვებს აქვთ ღამისა და მშიერი ტკივილი (ტკივილს, რომელსაც საკვების მიღება აყუჩებს, მშიერ ტკივილს უწოდებენ), დამახასიათებელია ტკივილის გავრცელება წელისაკენ, ბეჭებისაკენ, ბეჭთაშუა სივრცეში, ზოგჯერ გულისაკენ.

ბავშვთა ასაკის წყლულოვანი დაავადების ხშირი თანმხლები ნიშანია დისპეფსიური მოვლენები: გულის რევა, ბოყინი, გულძმარვა, ხშირი ყაბზობა, რაც უნდა აიხსნას კვების თავისებურებით (ერთფეროვანი საკვებით) და მიდრეკილებით კუჭ-ნაწლავის სპაზმისადმი.

მადა ავადმყოფს ნორმალური აქვს. მადის შეფასებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საკვების მიღების შიში, რასაც წყლულით დაავადებულთა შორის ხშირად ვხვდებით. ზოგჯერ, მიუხედავად კარგი მადისა, ავადმყოფი საკვებს არ ღებულობს ტკივილის შიშით. შიში საკვების მიღებისა ხშირია გართულებული წყლულოვანი დაავადების შემთხვევებში.

ზოგადი სიმპტომებიდან აღინიშნება საერთო სისუსტე, ძილის დარღვევა, თავის ტკივილი, აღგზნება (უფრო ხშირად) ან, პირიქით, დეპრესია (იშვიათად).

კუჭის არე, მეტწილად, ხელით შეხებისას მტკივნეულია, შედარებით იშვიათად მტკივნეულია მარჯვენა ფერდქვეშა მიდამო.

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს კუჭის მიდამოში კანის პიგმენტაციას „ვეფხვის ტყავის“ მსგავსად, რაც გაპირობებულია ტკივილის დასაყუჩებლად სათბურების ხშირი გამოყენებით.

მცირეწლოვან ბავშვებშიც წყლულოვანი დაავადების სურათი ძირითადად იგივეა, რაც მოზრდილებში.

სკოლამდელი ასაკის ბავშვი ხშირად სწორად ვერ გადმოგვცემს თავის განცდებს, ზუსტად ვერ უთითებს ტკივილის ადგილს, ვერ უკავშირებს ტკივილს საკვების მიღებას და სხვ. ავადმყოფის შესწავლისას ეს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვებში წყლულოვანი დაავადება ყოველთვის როდი მიმდინარეობს დამახასიათებელი, ტიპიური ნიშნებით. 20-25 პროცენტს ამ დაავადების ნიშნები სუსტად აქვთ გამოხატული ანდა დაავადება თავიდანვე გამოვლინდება გართულებებით: კუჭის კედლის გახვრეტა წყლულის არეში (პერფორაცია), სისხლის დენით (სისხლიანი პირღებინება, კუპრისფერი განავალი), კუჭის გასავლის ან თორმეტგოჯა ნაწლავის სანათურის შევიწროებით.

ნაწილი აღნიშნული გართულებებისა საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, მაგალითად, კუჭის გახვრეტა, ზოგჯერ — მწვავე სისხლდენაც.

მიუხედავად იმისა, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დიაგნოსტიკის მეთოდები კარგადაა დამუშავებული, ჯერ კიდევ ხშირია შეცდომები. დაახლოებით 45-50 პროცენტ შემთხვევაში ბავშვებს სულ სხვა დიაგნოზით უტარდებათ მკურნალობა (აპენდიციტი, ნაღვლის ბუშტის ანთება და სხვ.). ხშირად შეცდომის მიზეზი ხდება ე. წ. „ჭიპის ჭვალი“. უნდა გვახსოვდეს, რომ ჭიპის ირგვლივ ტკივილის დროს შესაძლებელია არსებობდეს წყლულოვანი დაავადება. ამიტომ ბავშვი უნდა შევისწავლოთ ამ მიმართულებით.

წყლულოვანი დაავადების მკურნალობა ბავშვებში ძირითადად კონსერვატულია — დიეტური და მედიკამენტოზური. დაავადების დასაწყისში და გამწვავებისას ბავშვებს ენიშნებათ წოლითი რეჟიმი 4-5 კვირის განმავლობაში და მკაცრი დიეტა — რძე, კისელი, ყველი, წვნიანი კერძები, ხ[illegible]ლის ნახარში და სხვ.

ბიბლიოთეკა

თუ წყლულოვანი დაავადება მიმდინარეობს დაქვეითებული სიმჟავიანობით, სასურველია ბავშვს მიეცეს კომბოსტოს წვენი (70-120 მლ ჭამის წინ სამჯერ დღეში, ერთი თვის მანძილზე). მაღალი სიმჟავიანობის შემთხვევაში უკეთესია კარტოფილის წვენი (50-100 მლ. ორჯერ დღეში 1/2 საათით ადრე ჭამამდე, ორი კვირის განმავლობაში). გარდა სიმჟავიანობის დაქვეითებისა კარტოფილის წვენი ხელს უწყობს სპაზმის მოხსნას და ამდიდრებს ორგანიზმს „B“ ჯგუფის ვიტამინებით. სასარგებლოა აგრეთვე სტაფილოს წვენიც.

შემდგომ, ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება კვების რაციონიც.

წამლებიდან, გარდა ტკივილდამაყუჩებლებისა, ანტისპაზმური საშუალებებისა და ქოლინოლიტიკებისა (ატროპინი, პლატიფილინი, ბელოიდი, ტეპაფილინი, კვატერინი, დიკოლინი, ნოშპა, ბიშპანი) აუცილებელია. ძილის მოწესრიგებისა და უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების რეგულაციის მიზნით, ბრომის, ტრიოქსაზინის ან დიმედროლის დანიშვნა.

როგორც მოზრდილების, ისე ბავშვების წყლულოვანი დაავადების დროს უკანასკნელ ხანებში წარმატებით იხმარება ვიკალინი (უცხოეთში — როტერი), ჰორმონალური პრეპარატები (ნერობილი, მეთილანდროსტენდიოლი და სხვ).

გარდა დასახელებული მედიკამენტებისა, სათანადო ჩვენებების დროს წყლულის შეხორცების სტიმულირების მიზნით მიმართავენ სისხლის პლაზმის და ცილოვანი ჰიდროლიზატების გადასხმას. ამავე მიზნით ავადმყოფს ენიშნება პენტოქსილი, ჰისტიდინი.

ზოგიერთი ექიმი მიმართავს ფიზიოთერაპიულ პროცედურებს, რასაც კარგი შედეგი მოაქვს (პარაფინის აპლიკაცია, დიათერმია, იონოფორეზი კალციუმით, ნოვოკაინით, ქოლინოლიტიკებით და სხვ.). წყლულოვანი დაავადების კონსერვატული მკურნალობა ბავშვებში, თუ იგი დროულადაა დაწყებული, უმრავლეს შემთხვევაში კარგი შედეგით მთავრდება. უნდა გვახსოვდეს, რომ მკურნალობის შემდეგ დიეტის სისტემატური და უხეში დარღვევა, გადაღლა, ნერვიულობა განაახლებს და ამწვავებს დაავადებას. დაავადების გამწვავების შემთხვევაში ნაჩვენებია კვლავ კონსერვატული მკურნალობის ჩატარება.

ოპერაცია უნდა გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ გართულებული წყლულის შემთხვევებში (წყლულის პერფორაცია, კუჭის გასავლისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სანათურის შევიწროება, განმეორებითი მწვავე სისხლდენა) და იმ შემთხვევაში, როდესაც ხანგრძლივი და ენერგიული კონსერვატული მკურნალობა უშედეგოა.

პროფესორი ა. თელია



შრომითი აღზრდა

# მე თვითონ!

ბავშვი პატარაა, მან ძალიან ცოტა სიტყვები იცის, მაგრამ სულ უფრო ხშირად ამბობს, „მე თვითონ!“ ხანდახან ამ სიტყვაში ისმის თხოვნა, ხანდახან კი მას იმეორებს დაჟინებით და ჯიუტად. ამ შემთხვევაში ბავშვი მართალია, რადგანაც მას აქვს დიდი მოთხოვნილება, რაც შეიძლება მალე შეიცნოს სამყარო.

დამოუკიდებელი ჭამის ჩვევა ბავშვს წლამდე უვითარდება. 10-11 თვისა სვამს ჭიქიდან, წლისა თვითონ იჭერს ჭიქას, ერთი წლის შემდეგ ხმარობს კოვზს (დედა მას მხოლოდ ეხმარება, მაგრამ არ აჭმევს), წლინახევრიდან კი იყენებს ხელსაწმენდს.

სამი წლიდან ბავშვი თვით უნდა იბანდეს და იმშრალებდეს ხელ-პირს. ის უნდა ცნობდეს თავის პირსახოცს, იღებდეს და კიდებდეს თავის ადგილას. აკურატულობისთვის, აქტიური და დამოუკიდებელი მოქმედებისათვის შექება კეთილ გავლენას ახდენს მასზე. ბავშვს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი ჭამის წინ ხელის დაბანა აუცილებელია, სამი წლის ბოლოს კი უნდა ირეცხავდეს პირის ღრუს.

მშობლის მოვალეობაა ბავშვს ჰქონდეს სუფთა ცხვირსახოცი, ხოლო მის ხმარებას იგი დამოუკიდებლად, შეხსენების გარეშე უნდა მიეჩვიოს. ასევე უნდა შეეძლოს თავის ჩაცმულობაში უწესრიგობის შემჩნევა და გასწორება. მართალია, თქვენ უფრო სწრაფად შეგიძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. აკი, ყველაზე მყარი თვისებები ისინია, რომლებსაც ბავშვობიდან ჩავუნერგავთ. ეცადეთ, რომ სისუფთავისა და წესრიგისადმი მისწრაფება მოთხოვნილებად ექცეს სულ მცირე ასაკიდან.

სასეირნოდ წასვლის წინ, კარგი იქნება, თუ ბავშვი თვითონ დაიხურავს ქუდს, ჩაიცვამს ფეხსაცმელს, პალტოს. არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაფერ ამაზე და განსაკუთრებით ფეხსაცმლის შეკვრაზე ბავშვს ბევრი დრო სჭირდება. ამიტომ უფრო ადრე დაიწყეთ მომზადება, ნუ დააჩქარებთ ბავშვს, მიეცით საშუალება ჩაიცვას დამშვიდებით. მაშინ ეს ჩვევები უფრო განუმტკიცდება.

შრომითი აღზრდა მხოლოდ თვითმომსახურების ჩვევების ჩამოყალიბებას როდი გულისხმობს. მან ბავშვში უნდა გააღვიძოს სურვილი მოემსახუროს სხვასაც. ორი-ორნახევარი წლიდან პატარას შეუძლია შეასრულოს მარტივი დავალებები, მაგალითად, ბებიას მიუტანოს სათვალე





და გაზეთი. სამი წლის შემდეგ კი ბავშვს მუდმივი დავალებაც შეიძლება ჰქონდეს. მას შეუძლია მორწყას ყვავილები, წესრიგში მოიყვანოს წიგნის თარო. უფროსი ბავშვები უმცროსებზე ზრუნვასაც უნდა მივაჩვიოთ, მაგალითად, ჩააცვან ტანზე, ან შეუკრან წინსაფარი პატარა დას თუ ძმას. სწორედ ასეთ მომენტებში ეყრება საფუძველი წარმატებებს ბავშვის აღზრდაში.

**იბეჭდება ჟურნალ „ზდოროვიეს“ მიხედვით.**

## კერძები წლინახევრის ბავშვისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხაჭოს ხშულცხობილი რძის საწებლით

$1/4$ კვერცხი 1 ჩაის კოვზ შაქრის ფხვნილში აზილეთ, მიუმატეთ დანის წვერით მარილი, 1 ჩაის კოვზი მანანის ბურღული და კარგად აურიეთ. ჩაასხით შიგ $1\frac{1}{2}$ სუფრის კოვზი რძე, ყველაფერ ამას მიუმატეთ 70 გრ გახეხილი ხაჭო და 1 ჩაის კოვზი გარეცხილი ქიშმიში. ისევ აურიეთ. გადმოიღეთ ცხიმწასმულ და ორცხობილის ფხვნილმოყრილ ტაფაზე, მოასხურეთ $1/2$ ჩაის კოვზი გამდნარი კარაქი, მოუსწორეთ ზედაპირი და შედგით ჰაერღუმელში გამოსაცხობად. მზა ხშულცხობილს მოასხით ზევიდან ანადუღარი ნაღები ან რძის საწებელი.

რძის საწებელი კი ასე მზადდება: 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი მოშუშეთ ტაფაზე, გახსენით 100 გრ ცხელ რძეში (თან განუწყვეტლივ ურიეთ), დაუმატეთ დანის წვერით აღებული მარილი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე 5-7 წუთის განმავლობაში. გაწურეთ, რომ კურკუმელა არ შეყვეს. როცა გამზადდება, უყავით $1/3$ ჩაის კოვზი კარაქი.

### ტვოროჟნიკი

იმავე პროდუქტებისაგან მზადდება, რისგანაც ხშულცხობილი; ოღონდ მანანის ბურღულისა და რძის ნაცვლად დაემატება 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი.

გაწურულ გახეხილ ხაჭოს დაუმატეთ შაქარში ალესილი $1/4$ კვერცხის გული, მარილი, მოურიეთ, ჩაყარეთ შიგ ფქვილის მეტი ნაწილი, ისევ მოურიეთ. დაყავით მასა ულუფებად, დაამრგვალეთ, ამოავლეთ დარჩენილ ფქვილში, გააბრტყელეთ, ოდნავ შეაწითლეთ კარაქწასმულ ტაფაზე ორივე მხრიდან, მერე ტაფას თავი დაახურეთ და ნელ ცეცხლზე გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში. ტვოროჟნიკებს ძალიან უხდება ნაღების, ჯემისა და უკურკო მურაბის გადასმა.

ტვოროჟნიკები შეიძლება სტაფილოსგანაც მომზადდეს. გარეცხილი, გაფხეკილი და ისევ ხელმეორედ გარეცხილი სტაფილო (დაახლოებით 30 გრ) სახეხზე გახეხეთ და ოდნავ ჩაშუშეთ რძეში და კარაქში. მიუმატეთ ნაკლული ჩაის კოვზი მანანის ბურღული, მოურიეთ და ისევ მოშუშეთ 10-12 წუთის განმავლობაში. როცა სტაფილო შეგრილდება, შეურიეთ ხაჭო. სტაფილოს ნაცვლად შეიძლება 1 ჩაის კოვზი გარეცხილი და ოდნავ მოხარშული ქიშმიში უყოთ.

### ერბოკვერცხი ისპანახით

გაარჩიეთ, კარგად გარეცხეთ, და დაკეპეთ 50 გრ ისპანახი და თავდახურულ ტაფაში მოშუშეთ $1/2$ ჩაის კოვზ კარაქში, ვიდრე დარბილდება. ერთ კვერცხს შეურიეთ $1\frac{1}{2}$ სუფრის კოვზი რძე, დაასხით ჩაშუშულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისპანახს, უყავით მარილი და შედგით პაერ-ღუმელში. ისპანახის ნაცვლად შეიძლება ძროხის ღვიძლი (50 გრ) იხმაროთ. ღვიძლს კანი გადააძვრეთ, გარეცხეთ, წვრილად დაკეპეთ, ოდნავ შეაწითლეთ, მერე ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში რძეში ჩამბალ ცოტაოდენ პურთან ერთად.

### კვერცხის რულეტი ბრინჯით

1 კვერცხის გულს შეურიეთ $^3/_4$ ჩაის კოვზი ფქვილი და 3 სუფრის კოვზი რძე, დაუმატეთ ათქვეფილი ცილა, დაასხით კარაქწასმულ ტაფაზე და გამოაცხვეთ, ვიდრე წითლად დაიბრაწება. მზა კვერცხის ფენაზე მოათავსეთ 1 ჩაის კოვზი მოხარშული ბრინჯი და $^1/_5$ მოხარშული, დაკეპილი კვერცხი, დაახვიეთ რულეტად. ფარში შეიძლება მომზადდეს აგრეთვე ვაშლისაგან, მოშუშული კომბოსტოსა და სტაფილოსაგან.

### კომბოსტოს კატლეტები

2 ცალი კომბოსტოს ფოთოლი წვრილად დაკეპეთ, წყალში ან რძეში (2-3 სუფრის კოვზი) მოშუშეთ. როცა დარბილდება, ჩააყარეთ შიგ 1 ჩაის კოვზი მანანის ბურღული, მოურიეთ და კვლავ მოშუშეთ 10-12 წუთის განმავლობაში. ოდნავ შეაგრილეთ, მიუმატეთ $^1/_4$ კვერცხის გული, უყავით მარილი. გააკეთეთ 1-2 კატლეტი, გადაუსვით კვერცხის ცილა, ამოავლეთ 1 ჩაის კოვზ დანაყილ ორცხობილაში, ოდნავ შეწვით, დახურეთ სახურავი და ნელ ცეცხლზე გააჩერეთ კიდევ 10 წუთის განმავლობაში. მზა კატლეტს მოავლეთ 2 ჩაის კოვზი რძის საწებელი ან არაჟანი.

ზუსტად ასევე კეთდება სტაფილოს კატლეტიც. ხოლო თუ ჭარხლის კატლეტს გააკეთებთ, ჭარხალი ჯერ უნდა მოხარშოთ, მერე გაფცქვნათ და სახეხზე გახეხოთ.

### ბოსტნეულის რაგუ

გაწმენდილი, დაჭრილი ნახევარი სტაფილო და ამდენივე თალგამი $^1/_4$ ჭიქა წყალში მოშუშეთ, სანამ ნახევრად გამზადდება. დაუმატეთ დაჭრილი ნახევარი კარტოფილი (შეიძლება კარტოფილი წინასწარ კარაქში ოდნავ შეიწვას), თითო ჩაის კოვზი მოხარშული და დაკეპილი ყვავილოვანი კომბოსტო და მწვანე ცერცველა. ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ, უყავით მარილი, ჩაასხით შიგ 3-4 კოვზი სტაფილოს ან თალგამის მონახარში წვენი, უყავით 1 ჩაის კოვზი კარაქი და განაგრძეთ შუშვა კიდევ 15 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი $^1/_4$ პამიდორი, 1 ჩაის კოვზი არაჟანი და კიდევ 10 წუთი შუშეთ. გამზადებულ რაგუს მოაყარეთ დაკეპილი 1 ჩაის კოვზი ოხრახუში და კამა.

### ყაბაყის ოლადიები

100 გრ გათლილი ყაბაყი წვრილად გახეხეთ, ცოტა ხანს გააჩერეთ, რომ წვენისაგან დაიწრიტოს, ამ მასას შეურიეთ $^1/_4$ უმი კვერცხის გული, $1^1/_2$ ჩაის კოვზი ფქვილი, ათქვეფილი ცილა და უყავით დანის წვერით მარილი. ეს მასა გუნდ-გუნდად კოვზით ამოიღეთ და ცხიმიან ცხელ ტაფაზე შეწვით. სუფრაზე მიტანის წინ მოავლეთ 1 ჩაის კოვზი არაჟანი.



### კოსტუმი

1. ახალგაზრდული კომპლექტი ბლუზის, ქვედატანისა და გრძელი ჟილეტისაგან. ჟილეტი ერთბორტიანია, ფართო ლაცკანებით. ბორტები დაგვირისტებულია.

2. ახალგაზრდული ერთბორტიანი საშემოდგომო კოსტუმი მოკლე ჟაკეტით. ბორტები და საერთოდ ყველა დეტალი გაწყობილია ორი სხვადასხვა ფერის ფართო დეკორაციული გვირისტით. კოსტუმს დასრულებულ იერს ანიჭებს შარფი და პატარა ნაქსოვი ქუდი.

3. ტანზე ოდნავ მომდგარი კოსტუმი შეჭრილი გვერდებით. საყელო და ბორტები ფართოა, მომრგვალებული ფორმის. ყველა დეტალი მსხვილად არის დაგვირისტებული.

4. ტანზე ოდნავ მომდგარი, ნაზი, ქალური სილუეტის ორბორტიანი კოსტუმი ასიმეტრიული შესაკრავით. გული გაწყობილია კარაკულის ბეწვით.

5. ახალგაზრდული კოსტუმი შარვლით. პიჯაკი ტანზე ოდნავ მომდგარია, გვერდებში შეჭრილი. ფართო ბორტები დაგვირისტებულია ფერადი ძაფით. ამ პიჯაკის ტარება ქვედატანთანაც შეიძლება.

მოდელების ავტორი ეკატერინა ატაპინა,
მხატვარი ლიდა აგალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბლუზა და ქვედატანი

1. მამაკაცის პერანგის ტიპის მუქი პოპლინის ბლუზა გაწყობილია მკვეთრი, ხასხასა ნაქარგით. ქვედატანი შეჭრილია, ნაკეცები დაგვირისტებულია.

2. აბრეშუმის მოკლესახელოიანი ბლუზა. სახელო და სამაჯეები გაწყობილია ვოლოგდური მაქმანებით. შალის ქვედატანს წინ, შუაში შემხვედრი ნაკეცი აქვს, აქეთიქით ორ-ორი ნაკეცი. ნაკეცები თეძოს ხაზამდე დაგვირისტებულია.

3. ბლუზა ბოლოებში გაგანიერებული სახელოებითა და ვიწრო, გრძელი სამაჯეებით. სახელოები და გული გაწყობილია ქსოვილში ჩაკერებული მაქმანებით.

4. გვერდებზე შეჭრილი ბლუზა სადა ქსოვილისაგან. გაწყობილია ჰალსტუხით, რომელზეც მონოგრამაა ამოქარგული, ე. წ. ტამბურული გვირისტით.

5. მამაკაცის პერანგის ტიპის პოპლინის ბლუზა. ყველა რელიეფი დაგვირისტებულია კონტრასტული ფერადი ძაფებით. ქვედატანი შეჭრილი კოკეტით, ჯიბეებს ქვემოთ — ნაკეცებით. ყველაფერი ესეც კონტრასტული ფერადი ძაფებითაა დაგვირისტებული.

6. ჩითის ახალგაზრდული ბლუზა. გული გაწყობილია მაქმანებით, რომლებსაც ერთმანეთისაგან ვიწრო, დაგვირისტებული ნაკეცები (зашипы) გამოჰყოფს. მაქმანებზე როკოკოს სტილით ამოქარგულია ნაზი ფერის პაწია თაიგულები. ასევე დაქარგულია მაქმანით გაწყობილი სამაჯეები. ქვედატანი ისეა დაგვირისტებული, რომ ჯიბეების შთაბეჭდილება იქმნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

### ფელამუში

თეთრი ტკბილი ჯიშის ყურძნისაგან გამოწურეთ წვენი (4 ჩაის ჭიქა), ჩაასხით ქვაბში და შედგით ნელ ცეცხლზე. როცა შეთბება, თანდათანობით ჩაყარეთ შიგ ერთი ჩაის ჭიქა გაცრილი სიმინდის ფქვილი (რეკომენდებულია თეთრი ფქვილი) და თან შეუწყვეტლივ ურიეთ ხის კოვზით. ადუღების მომენტიდან ფელამუში ნელი დუღილით 40-50 წუთი უნდა იხარშოს.

წყალგამოვლებულ ჭურჭელში ჩაასხით ცხელი ფელამუში, შეაგრილეთ, დაჭერით და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

ფელამუშთან ერთად შეიძლება ნიგოზის მიტანა.

### თათარა

ოთხი ჩაის ჭიქა ახლად გამოწურული თეთრი ყურძნის წვენი ქვაბში ჩაასხით, ნელ ცეცხლზე შედგით და როცა შეთბება, თანდათანობით ჩაყარეთ სამიმეოთხედი ჩაის ჭიქა კარგად გაცრილი პურის ფქვილი და თან შეუწყვეტლივ ურიეთ ხის კოვზით, სანამ სასურველ სისქეს არ მიიღებს.

მზა თათარას ფქვილის გემო და სუნი არ უნდა დაჰკრავდეს.

წყალგამოვლებულ თეფშებზე დაასხით ცხელი თათარა, შეაგრილეთ და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

### ჩურჩხელა

საქართველოში ჩურჩხელა სხვადასხვა წესით მზადდება. ცნობილია: კახური, ქართლური, იმერული, მეგრული, რაჭა-ლეჩხუმური, აფხაზური და გურული ჩურჩხელა. თითოეულს თავისი სპეციფიკური გემო აქვს და საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისაგან.

ჩურჩხელა კეთდება ნიგვზის, თხილის, ნუშის, წიწიბოს, გოგრის თესლის, ჩამიჩისა და ჩირისა. ჩურჩხელისათვის უნდა შეირჩეს თეთრი, საღი, კარგად გამშრალი ნიგოზი. ნიგვზისაგან კეთდება სამნაირი ჩურჩხელა: მთელ-მთელი ლებნისაგან, ნახევარი ლებნისაგან და ლებნის მეოთხედისაგან (ესე იგი, ერთი ლებანი ოთხად იყოფა). ლებნის მეოთხედისაგან აგებული ჩურჩხელა ყველაზე კარგი გამოდის და ამიტომ ის უფრო გავრცელებულია.

დაჭერით 25-30 სანტიმეტრი სიგრძის ბამბის მაგარი ძაფი, ააგეთ ნემსზე, ერთ მომსხო ნიგოზს ორჯერ ამოუყარეთ, რომ არ ჩამოვარდეს. შემდეგ ნიგოზიც აასხით, სანამ ძაფი გაივსება. ყურადღება მიაქციეთ, რომ ნიგოზსა და ნიგოზს შორის ცარიელი ადგილი არ დარჩეს. როცა ყველა ლებანს ააგებთ, გაუკეთეთ მსხვილი ბამბის ძაფის სათაურები. თხილიც ასევე აასხით, მხოლოდ დაჭრა არ უნდა, კანი მოაშორეთ და მთელ-მთელი ააგეთ.

ახლადდაწურული თეთრი ყურძნის ტკბილი წვენი (ათი ლიტრი) ჩაასხით ქვაბში, დაადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ დაახლოებით 2-3 საათს. დუღილის დროს მოგდებული ქაფი მაშინვე მოხადეთ, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და როცა გაგრილდება, ჩაყარეთ გამტკიცული პურის ფქვილი (1.200 გრამი) და თან განუწყვეტლივ ურიეთ, რომ კოშტები არ მიიღოთ. როცა ფქვილს სულ ჩაყრით, კარგად აურიეთ და ჩაზილეთ. ქვაბი ისევ ცეცხლზე შედგით და ურიეთ ნელ-ნელა ხის კოვზით, რომ ძირზე არ მიიწვას. ჩურჩხელამ რომ სიტკბო შეინარჩუნოს და რბილი გამოვიდეს, რეკომენდებულია დუღილის პროცესში შეუწყვეტელი მორევით თანდათანობით ჩაემატოს 500 გრამი შაქრის ფხვნილი. როცა ცოტა შესქელდება (მოთათარავდება), კარგად ჩაზილეთ, ხოლო როცა დაწითლდება და ზედაპირზე თეთრი ბუშტუკები გაჩნდება, საჩურჩხელე თათარაც მზად არის. ცხელ თათარაში ორჯერ ან სამჯერ სათითაოდ ამოავლეთ ძაფზე ასხმული ნიგოზი და ხარიხაზე დაჰკიდეთ ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებოდეს. კარგად ნადუღი თათარა ჩურჩხელიდან არ ჩამოიწურება. შემდეგ გაფინეთ ჰაერზე, მაგრამ ძალიან არ გახმოთ, ჯერ კიდევ რბილი ჩამოიღეთ და შეინახეთ. შესანახ ჭურჭელს სუფთა ქსოვილი ჩაუფინეთ და ზევიდანაც დახურეთ. ჩურჩხელები შეინახეთ გრილ ადგილას (15-18°). ასე იგი გათეთრდება და დაშაქრდება.

თამარ სულაქველიძე

## წვრილ-წვრილი რჩევები

ნახვის სუნი პირიდან გაგიქრებათ, თუ ერთ ჭიქა მაგარ ყავას დალევთ ან ყავის მარცვლებს დაღეჭავთ.

* * *

მოცისფრო-მოლურჯო ფერის ჩითის ქსოვილები ან მუქი აბრეშუმი გარეცხვის შემდეგ გაავლეთ ძალიან თბილ, თითქმის ცხელ მარილიან წყალში (8 სუფრის კოვზი მარილი 5 ლიტრ წყალზე). მარილწყალში გავლება ქსოვილს გაახალისებს და ბზინვას დააწყებინებს.

* * *

რეზინის ჩექმები პეწს დიდხანს არ დაკარგავს, თუ თბილი წყლით გარეცხავთ და დრო და დრო გააპრიალებთ რამდენიმე წვეთ ზეთში ან გლიცერინში დასველებული ნაჭრით. ხელოვნური ტყავის ან ეგრეთწოდებული „ლაქის" ჩექმებს კი ვაზელინით წმენდენ.

* * *

შარვალზე ნაკეცები დიდხანს, რომ დარჩეს, ჯერ უკულმა პირიდან მშრალი საპონი გადაუსვით და მერე დააუთოვეთ.

* * *

ღია ფერის ფეტრის ქუდი თეთრი პურის ხმელი ქერქით იწმინდება.

* * *

თუ ტყავის ახალი ხელთათმანი გევიწროვებათ, შეახვიეთ სველ ნაჭერში, 2-3 საათის შემდეგ ჩაიცვით და ხელებზევე შეიშრეთ.

გარეკანის პირველ გვერდზე — ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული რესპუბლიკური საშუალო სკოლის პედაგოგი მანანა კობახიძე; მეოთხე გვერდზე — ქ. თბილისის 102-ე საშუალო სკოლის პედაგოგი ციალა კიკნაძე. ფერადი ფოტოები დ. იაკობაშვილისა და გრ. სეირანიანისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 18/VIII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-74 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 125.000 შეკვ. 2760 უე 11109 ფასი 30 კაპ.

# პ. ჩაიკოვსკის სახელობის მე-5 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები

ამ ცოტა ხნის წინათ, მოსკოვში ჩატარდა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მეხუთე საერთაშორისო კონკურსი. მასში მონაწილეობდნენ მუსიკოს-შემსრულებლები მსოფლიოს 38 ქვეყნიდან. ამ დიდ ფორუმზე გამოდიოდა ორი ქართველი შემსრულებელი: მევიოლინე რუსუდან გვასალია და პიანისტი ეთერ ანჯაფარიძე.

ჟიურის გადაწყვეტილებით, რუსუდან გვასალიას მეორე პრემია მიენიჭა (პირველი პრემია არავის მინიჭებია), ხოლო პიანისტთა კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ — ეთერ ანჯაფარიძემ მეოთხე პრემია დაიმსახურა. თუ გავითვალისწინებთ კონკურსის მონაწილეთა შემადგენლობას, ეს ქართველ შემსრულებელთა დიდი გამარჯვებაა.

რუსუდან გვასალია



ეთერ ანჯაფარიძე



## საბჭოთა ქალების კომიტეტის განცხადება

საბჭოთა ქალები მეტად აღელვა ამ დღეებში კვიპროსზე მომხდარმა ამბებმა. რეაქციულმა ძალებმა, რომლებსაც საბერძნეთის სამხედრო ხუნტა უდგას სათავეში, ამბოხება მოახდინა სუვერენული სახელმწიფოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის — კვიპროსის რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის დასამხობად.

ამბოხების მესვეურნი ცდილობენ, მოსპონ კვიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ამ ქვეყნის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. საბჭოთა ქალები გადაჭრით გმობენ კვიპროსზე ანტისახელმწიფოებრივ ამბოხებას, რომელიც დაძაბულობას ქმნის მსოფლიოს ამ რაიონში და ხელს უშლის ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესების ახლანდელ ტენდენციას, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

საბჭოთა ქვეყნის ქალები მხურვალედ უჭერენ მხარს კვიპროსელი ხალხის სამართლიან მოთხოვნას, რათა აღიკვეთოს ინტერვენცია, უფლება მიეცეს კვიპროსელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს კვიპროსის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას, რომელსაც არქიეპისკოპოსი მაკარიოსი უდგას სათავეში და ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ გამარჯვება კვიპროსის პროგრესული ძალების მხარეზე იქნება.


ИНДЕКС 76178